1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

აგვისტო
№ 8 1979 წ.

ISSN 0321-1509






ეროვნული ბიბლიოთეკა



# აბრეშუმის შარიშური

ახლახანს 50 წელი შეუსრულდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის სახელობის ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაურ საწარმოს.

აბრეშუმის წარმოებას საქართველოში ღიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მისი განვითარება მხოლოდ საბჭოთა საქართველოში გახდა შესაძლებელი. 1927-1928 წლებში ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა ძაფსაღები ფაბრიკის მშენებლობას. მისი ცოცხალი მატიანე ზინაიდა შალამბერიძეა, რომლის ცხოვრებაც შესისხლხორცებულია წარმოებისას.

აი, რას ჰყვება ზინაიდა:

— მშენებლობა 1929 წელს დამთავრდა და იმავე წელს კომკავშირული საგზურით საამქროში სამი ცვლა მოვიდა. მაშინ კადრები ძალიან ძვირდა. სამტრედიის ძაფსაღებიდან უკვე გადმოსულიყვნენ ჩემი მასწავლებლები მარო კანდელაკი და ტასო გიგიაძე. წულუკიძიდან — მქსოველი მარიამ ჩიხლაძე, ნადია მელქაძე, ვერა ამალლობელი, ქეთო ნერგაძე და სხვები საფაბრიკო-საქარხნო სკოლიდან მოემატნენ შუშანა ცინცაძე, ინარი ჩხობაძე და კლავდია შავგულიძე.

მე დავეუფლე პარკის ხარშვის პროფესიას, შემდეგ ძაფის ამოღებას და ძაფის მხვეველად დავიწყე მუშაობა.

1929 წლის აპრილში სოციალისტური შეჯიბრება მუდმივ მეთოდად გამოცხადდა. ჩვენთან შეიქმნა ხუთი ბრიგადა, რომლებშიც ორასამდე მუშა გაერთიანდა. ამავე წელს საწარმომ 31 ტონა ხამი აბრეშუმის ძაფი გამოუშვა.

1931 წელს დამკვრელთა საქალაქო საზეიმო შეკრებაში მონაწილეობას ვიღებდით ე. ბერძენი, ე. კეზენკო და მე. ჩვენ წარმოების მუშების სახელით ვივალდებულეთ ერთი ტონით მეტი ძაფის გამოშვება წინა წელთან შედარებით.

1933 წელს საქსოვი წარმოების მშენებლობა დამთავრდა და 30 დაზგა დამონტაჟდა. ფეიქარი არ ჰყავდათ, რომ შვიდი ნოემბრისათვის დაზგა საექსპლოატაციოდ გადაეცათ. საფეიქრო ტექნიკუმიდან გადმოიყვანეს დები ლიდა და შურა ახალაძეები, რომლებმაც ოთხი ქსელი გააბეს და საზეიმო დღეს პირველი პროდუქცია გამოუშვეს.

1935 წელს გაერთიანდა საქსოვი და ძაფსაღები საწარმოები და კომბინატის წოდება მიიღო. მალე საფეიქრო მრეწველობაში სტახანოველთა პირველი მიმდევრები გაჩნდნენ ესენი იყვნენ ევდოკია და მარია ვინოგრადოვები მათ არც მე ჩამოვრჩი. 1937



ცვლის ოსტატი ნათელა განგაძე

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

წლიდან, როგორც მოწინავე მუშა, სტახანოველი და ორ დაზგაზე მომუშავე, ბრიგადირად გადამიყვანეს. ამ მოვალეობას დღემდე ვასრულებ. წარმოებაში დაწესებულია ორი პრიზი — ჩემი და გივი ბურჯანაძის სახელობისა. ჩემი ბრიგადა კომუნისტურია და უჩამორჩენილებოდ მუშაობს, საწარმოო დავალებებს ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებთ.

რა თქმა უნდა, გვქონდა მძიმე წლებიც. ომის დროს ზურგი და ფრონტი ერთი იყო. სამსახურის შემდეგ დაჭრილებს ვუვლიდი. ომის შემდგომ აღდგენითი შრომა დაიწყო. ჩვენთან 1946 წელს საჩეჩ-სართავი წარმოება ამუშავდა. 1966 წელს ლენინის ორდენით დამაჯილდოვეს...

... საამქროებს ვათვალიერებ, მოწინავეებს ვეცნობი. მქსელავი ლეილა ბარათელი რამდენიმე პროფესიას ფლობს, თვრამეტი წელია გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. მას არც გამხამებლები მაყვალა ალფაიძე და ეკა ნოზაძე ჩამორჩებიან.

მხვეველი ნათელა მორალიშვილი სხვადასხვა სისტემის მანქანაზე მუშაობს. საქსოვ საამქროში ბევრია მოწინავე — ციური ნოზაძე, დები გულნაზი და სულიკო თაბაგრები, როზა ფაშაევა, ნუნუ სირაძე.

საინტერესოა ძაფსაღები წარმოება. ამ საამქროს უფროსი მ. ბერიძე გვიამბობს:

— ტექნოლოგია ისეთია, რომ ჭიისაგან საგულდაგულოდ დახვეული ძაფი მხოლოდ ქალის ნაზ თითებს ამოჰყვება. ახალია ნედლეულის მოსახარშავი აპარატი, რომელმაც ხარისხი და გამოსავლიანობა გააუმჯობესა, სახარშავი საამქრო მთლიანად გადაკეთდა, დაიდგა ახალი საფთილე და სართავი მანქანები. რაციონალიზატორმა სერგო ცენტერაძემ პარკის საჭრელი მანქანა შექმნა, ანდრო გვალიამ სალენტე მანქანაზე გადააკეთა გამწევი მექანიზმი და შეამცირა დანაკარგი. ხარისხის ფრიადოსნები არიან ვეტერანები მ. პატარიძე, ჟ. გაბადაძე, თ. ფაკორი და სხვები.

ხამი აბრეშუმის ძაფს რომ ჩეჩიანობა არ ექნეს, შემოვიღეთ „უწყლო ემულსია" და ახალი კონვეიერული დახარისხება. ამით მუშები გათავისუფლდნენ ზედმეტი ტვირთის ზიდვისაგან, გაიზარდა შრომისნაყოფიერება. საჩეჩ-სართავ საამქროში მოწინავენი არიან მებარაბნე ე. ჩახუნაშვილი, მჩეჩავი მ. ჯავახაძე, ძაფის მტრუსავი ნ. ჩხიკვაძე, მეფთილე თ. რამიშვილი, მრთველი მ. სულაბერიძე, მელენტე ლ. ბრეგაძე. ახალმა ტექნიკამ გაზარდა პროდუქციის გამოშვების მოცულობა. ახლად აშენდა სახარშავ-სამღებრო საამქრო, აქ ყველა დანადგარი ახალია. საჩითავ საამქროში ფერად-ფერადი ქსოვილები საშრობისაკენ მიაქვს კონვეიერს. ამჟამად ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წილი რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის 63 პროცენტს შეადგენს. წარმოება უშვებს ნატურალურ და ხელოვნურ აბრეშუმს. ასორტიმენტის კაბინეტში ლამაზ აბრეშუმს დაუფარავს კედლები. პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე ვენერა კახიძე, დარბაისელი, ჭაღარა ქალი 1953 წლიდან მუშაობს წარმოებაში, ზრუნავს მუშათა ბედზე. წარმოების დირექტორი მურთაზ მაჩიტაძე აქ საშუალო სკოლიდან მოვიდა და მოსწავლიდან დაწყებული ყველა საფეხური გაიარა. პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ხარაბაძე მეუბნება:

— ჩვენი წარმოება 1974 წლიდან მუდამ გამარჯვებული გამოდის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამჟამად კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელის მოსაპოვებლად ვიბრძვით. მეცხრე ხუთწლედში საწარმო მომგებიან წარმოებათა რიგებში ჩადგა. გვაქვს ქალთა ორი საერთო საცხოვრებელი, ბავშვთა ბაგა-ბაღი სამასი ბავშვისათვის.



წარმოებას კი მაინც სჭირდება მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დახმარება. ორმოცდაათი წლის წინანდელ შენობაში სივიწროვეა. შენობაში ორიათასიან კომკავშირულ ორგანიზაციას კრების გასამართავი ადგილი არა აქვს. სასადილო ძველია და ვიწრო. ბევრი მუშის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებია მოსაგვარებელი. საქსოვ საამქროს რეკონსტრუქცია სჭირდება, ჩვენს იუბილარებს რომ მოკლე დროში ეს საკითხები მოუგვარონ, უკეთეს საჩუქარს ვერც ინატრებდნენ. საწარმოს მშრომელებს უყვართ თავიანთი საქმე, მისი ერთგულნი და თავდადებულნი არიან. ეს კი უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს!

ლალი დეკანოსიძე



სოცშეჯიბრებაში გამარჯვებული

# მისი სოფელია ციხისჯვარი

რეპორტაჟი

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მესაქონლეობისათვის ბრძოლა ბორჯომის რაიონში ბარძიმაძეებმა დაიწყეს. როცა ციხისჯვარში ჯიშთსანაშენე მეურნეობა ჩამოყალიბდა, ნუნუს მშობლები ნიკოლოზი და სოფიო ამ მეურნეობის მოწინავე მუშები გახდნენ. საქონელი ყოველთვის ჰყავდათ ოჯახში, საქონელს უვლიდნენ მეურნეობაშიც ნიკოლოზის და სოფიოს ექვსი ქალიშვილი და ერთი ვაჟი.

ბარძიმაძეების შრომითი დინასტიის სახელოვანი წარმომადგენელია ნუნუ. პატარა გოგონა იყო, დედას რომ გაჰყვა სამუშაოზე. არდადეგებზე ხომ გვერდიდან არ შორდებოდა, ბავშვობიდანვე შეითვისა პირუტყვის მოვლა. ისე წველიდა ძროხებს, ერთხელაც არ ჩაიმუხლებდა. საქმიანი სახით დაასხამდა წყალს ქატოს, მიიტანდა ბაგაში და აჭმევდა. სათითაოდ დაუვლიდა ხოლმე ხბოებს, მიუალერსებდა, დედას არ აძლევდა მოსვენებას: დავბანოთ ძროხები, ჭუჭყიანებიაო.

და ასე თანდათან გახდა მწველავი.

სკოლის დამთავრების შემდეგ ნუნუმ ყველა მოწინავე ქალი უკან ჩამოიტოვა: იგი 16 ძროხას წველიდა. ერთი წლის შემდეგ ძნელად მოსაწველი 20 ფური ჩააბარეს. კარგად უვლიდა და მაჩვენებლებიც სამაგალითო ჰქონდა. ყველას რომ აჯობო, ეს არც ისე ადვილია, როცა მეურნეობას მრავლად ჰყავს შუქურები. მარტო ნინო მიხაილოვამ და ოლღა ტოსუნოვამ (ნუნუს დაა, რომელიც ბერძენზეა გათხოვილი), ოთხი შვილის დედამ ხუთწლედი ვადამდე ადრე შეასრულეს და ახალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ. გეგმით ორივეს 207,7 ტონა რძე უნდა ჩამოეწველათ, ჩამოწველეს — 250 ტონა. ერთ საფურაჟე ძროხაზე გეგმით 2630 კილოგრამი რძე უნდა მიეღოთ, მიიღეს კი — 3030 კილოგრამი. ნინოს მკერდს შრომის წითელი დროშის ორდენი უმშვენებს, ოლღას კი — „საპატიო ნიშნისა".

„ოლღას 16 ძროხა ჰყავს და ერთი დედა ფურისაგან 6000 ლიტრ რძეს იღებს. ამ ფურის შვილმა კი 4500 ლიტრი მოიწველა. მალე შეიძლება დედასაც გაუსწროს, ეს ხომ სარეკორდო ციფრია" — ფიქრობდა ნუნუ და სწონიდა თავის შესაძლებლობებს, ჩაბმულიყო თუ არა ბრძოლაში. „ოლღა სამი წელია პირველობას არავის უთმობს"...

ჩაება და აჯობა. უფრო მეტიც: დაუზარელმა გოგონამ სხვა მწველავებსაც შეაშველა ხელი: გრიპის ეპიდემიის დროს ბრიგადირები და მწველავები შეცვალა, ათი დღის განმავლობაში ავადმყოფობის გამო ფენია კუპუსი ვერ მოვიდა სამუშაოზე, ოხუთმეტ დღეს ოლღა ბლიაძეს ცვლიდა.

1969 წელს ნუნუ პარტიის რიგებში მიიღეს. ამ უდიდეს ნდობას ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხა. მალე ბორჯომის კომკავშირის რაიკომის წევრი გახდა. 1972 წელს რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. 1973 წლის 5 ივლისს გორში მანქანით წველაში გაიმარჯვა და ჯილდოდ გორის კომკავშირის რაიკომის სიგელი გადაეცა. გუნდურ შეჯიბრებაში ციხისჯვარელებმა მესამე ადგილი დაიკავეს და რიგაში გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა. სადაც სიძნელე იყო, ნუნუც იქ იყო: მერე მოზარდეული მიანდეს — ოცდათხუთმეტი ხბო ჩააბარეს. მათ სადღეღამისო წონა-მატებამ ერთ კილოგრამს გადააჭარბა. მუხლჩაუხრელი შრომა დაუფასდა.

ერთი წლის შემდეგ ნუნუ ბარძიმაძე ლაბორატორიაში გადაიყვანეს, ბრიგადების რძის შემოწმება დაავალეს. დილის ხუთ საათზე ბორჯომში გასაგზავნ რძეს ანალიზს უკეთებდა.

სკოლაში მათემატიკა უყვარდა, მისდევდა სპორტს, რაიონის სპარტაკიადაში ორჯერ მიიღო მონაწილეობა. 1962 და 1963 წლებში რაიონის მათემატიკოსთა ოლიმპიადაში მონაწილეობდა და გაიმარჯვა. ამან განსაზღვრა მისი არჩევანი, უნივერსიტეტში შევიდა ეკონომიკის ფაკულტეტზე.

ბაკურიანს რომ გაცდებით მელიების ნადირმშენის საბჭოთა მეურნეობის შემდეგ ულითონო მთამადნეულის, ანდეზიტის საბადო იწყება. სანამ ანდეზიტში შეხვალთ, ცხრაწყაროს წყალი უნდა გაიაროთ. დაბაძველის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართული კოდიანის, ბრუტიანის და სანისლოს მთები ნაცნობებივით მოგესალმებიან. რამდენიმე კილომეტრზე ტყით დაფარული გზა მიიმართება და შეუმჩნევლად ალპურ ზოლში გადადიხართ. მთის ფერდობები შემკულია ათასფერადი ყვავილებით. ფიჭვი, ნაძვი, მუხა და წიფელი ნისლის ნაფლეთებით დახუნძლულა, შიგადაშიგ პანტაც გამორევია და თვალს ახარებს. ძალაუნებურად გიფართოვდება გუგები ასეთი სილამაზის შემყურეს. გზა შეუმჩნევლად იკეცება და სოფელ ციხისჯვარში შედიხართ. ციხისჯვრის მერძევეობის მსხვილრქოსანი პირუტყვის ჯიშთსანაშენე საბჭოთა მეურნეობა განთქმულია მთელს რესპუბლიკაში. მეურნეობა ყიდის მაღალი კლასის პირუტყვს — „ელიტა რეკორდს" და „ელიტას". ადგილობრივ ჯიშთან შეჯვარებით გამოყვანილი წაბლა ჯიში შეგუებულია მთის მაღლობებს, კარგად იტანს კლიმატურ პირობებს, იძლევა ნამატს, ხასიათდება სადღეღამისო წონა-მატებით, ბევრს იწველება საშუალოდ 3000-3500 კილოგრამს. საქონელი გადახურულშია, ამიტომ ცუდ ამინდშიაც მოხერხებულად წველიან.

— ხომ ხედავთ, სოფელს გარშემო საზამთრო ბინები აკრავს, ოქტომბრის ბოლოს საქონელი აქ გადმოგვყავს, — მეუბნება მეგზური. — ზაფხულის განმავლობაში დღეღამურ ძოვებას ვაწარმოებთ, რაც წველადობას და ხორცის წარმოებას ზრდის. მაისის ბოლოდან საქონელი საზაფხულო საძოვრებზეა.

სოფლის შუაგულში სასოფლო საბჭოს აღმასკომია, მეურნეობის ადმინისტრაციული შენობა, საშუალო სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, საქიმო უბანი, მაღაზია და სასადილო. ძველი ციხის ნანგრევები შემორჩენილა. ამ ციხის აღება არღუნ ნოინმაც კი ვერ შეძლო თავისი ურდოებით. ციხეს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუცდია ოსმალების, ირანელი ყიზილბაშების, ლეკების ვერაგული თავდასხმები. უძველესი საფლავის ქვები და ქვევრები მოწმობენ, რომ აქ სიცოცხლე დუღდა და გადმოსჩქეფდა, რომ ციხისჯვარელი ჯაყელების სამფლობელო ძლიერი იყო და მომხდურთ შიშის ზარსა სცემდა...

1853 წელს აქ ოსმალეთიდან ბერძნები გადმოსულან. პირველად შვიდი კომლი მოსულა. ახლა ციხისჯვარი ბერძნებით მჭიდროდ დასახლებული სოფელია.

— მეურნეობის დირექტორი მოსე ხუცურაული თბილისშია გამოძახებული, ნუნუს კი ახლავე მოგაყვანთ, — გვითხრა ახალგაზრდა მუშამ ნანული ბლიაძემ.

აივნიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი სოფელი.

ეს ოლღა ტოსუნოვაა, ნუნუს და, პირველი ბრიგადის ვეტერანი მწველავი, — მიხსნის ნანული, — მის გვერდით რომ მოდის, იზოლდა პიანდაროვაა, ესეც ნუნუს დაა, სამუშაოზე მიიჩქარიან. ოლღა ახლა მემინდვრეობაში მუშაობს... შევიდეთ შენობაში, ნუნუ მოდის. მწველავების ბრიგადირი პანაეტ ლაზარიდი ორი თვეა წასულია, მას ნუნუ ცვლის. ბრიგადირს ევალება მოწველილი რძის აღრიცხვა, ხელფასების გამოწერა, მწველავების მიხმარება. ნუნუ სასოფლო საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მდივანია, ამოწმებს სასადილოს, მაღაზიის, ფურნის მუშაობას. საქმე უამრავი აქვს, მეურნეობაში მოსვლის დღიდან აგიტატორია, ეკონომისტად მუშაობს, ხუთი წელია ადმინისტრაციის პარტორგანიზაციას უძღვება.

ეკონომისტს, პარტორგანიზაციის მდივანს, რომელმაც რიგითი მწველავის სასახელო გზა განვლო და ხუთი თითივით ზეპირად იცის მეურნეობის ავ-კარგი და შრომის ყადრი, ცხადია, ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, ვალდებულებათა ვადამდე განაღდების, შეჯიბრების ახლებურად მოწყობის საქმეში. მისი დამსახურებაც არის, რომ 1978 წელი წარმატებით დაამთავრეს ციხისჯვარელებმა. 1967 წლიდან დღემდე მიიღეს უამრავი ჯილდო — საკავშირო თუ რესპუბლიკური, გარდამავალი დროშები, მეურნეობა 1968 და 1969 წლებში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო. მისი ეკონომიკა სულ უფრო იზრდება. მეურნეობა უზრუნველყოფილია საკუთარი წარმოების საკვებით.

— წლეულს, 3 მარტს სოცშეჯიბრებაში გამარჯვებისათვის რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა გადმოგვცა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა. ეს ჯილდო უფრო მეტს გვავალებს. მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით. ბოლო თვის მაჩვენებლებით მოწინავენი არიან საკვებმომპოვებლები და მეცხოველეები: სოფიო აპოსტოლოვა, მარიამ კუტალოვა, ათანასე ტოსუნოვი, მეხბორეები ნინო ზანდოვა და გიორგი ლავრენტიევი. ყველა როგორც ერთი, ვიბრძვით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად. უნდა დავამზადოთ გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებულზე მეტი და ხარისხიანი საკვები, შევინარჩუნოთ და გავზარდოთ პირუტყვის სულადობა, — ამბობს ნუნუ.

მწველავებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოცშეჯიბრი, პირველი ბრიგადა მეორეს ეჯიბრება, ორივე ბრიგადა მესამეს. შედეგები დროულად მოწმდება. თითოეულ ბრიგადას სამი მწყემსი ჰყავს, ისინიც ერთმანეთს ეჯიბრებიან. ყველანი კი მეგობრულ ოჯახად ცხოვრობენ და ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებენ.

**მარიამ კვაჭაძე**

**ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე**

## დამელოდე, მოვდივარ...

ისე როგორ მოვკვდები, ერთხელ კიდევ არ განახო,
იქ, კოპიტის ტოტების ჩრდილს გართხმული ბალახო.
არ ვუმღერო გრძნეულად იმერეთის ნათელ მზეს,
ია მიმობნეულა საშევარდნოს კალთებზე...
ცა იმსხვრევა ღიმილად, მთვარე კვლავ თვლემს ეულად,
ჩემი შავი ყვირილა ისე გადარეულა...
ჰოი, ჩემო ბავშვობავ,
უდარდელო დღეებო,
მამა-პაპის ახოვ და თმაქოჩორა ტყეებო.
ფიქრმა ვერ მოგიშორა, ან ვით გავძლო უშენოდ,
ხვართქლა ცვარში იხრჩობა, მართლა უნდა ვუშველო...
მინდა სულ მხნედ გიგულო, ნისლიანი არ განახო,
ცისკიდურზე მიდგმულო რგანო, ოქროს ჩარდახო...
შენს შვილობას ვიმშვენებ, ჩემო ყრმობის გალიავ,
შორს ვერ წავა, ვინც შენი ღარის წყალი დალია.
ვინც შენს ზღაპრულ ქარაფებს რითმის ფუნჯით ჰქარგავდა,
ვინც უმღერდა მაღალ მთებს და ხმით არვის არ ჰგავდა...
ვისაც შენთან უყვარდა ფიქრის ლექსად გამხელა,
ჯვარიჭალას მუხა და ნარიყალა ვარხმელა...
ნაბარდების ვაკე და საცხენოსნოს აღმართი,
კოდის წყალის სარკე და ზოდის ქარის ღაღადი.
და ვინც შემოიფრინა ულამაზეს ჩუქურთმით
ბაჯითი და ხრეითი, ხვაშითი და შუქრუთი...
დღეს იმ ფიქრებს, მე რომ მღლის, ვერვინ მიხვდეს ადვილად,
რგანის მთვარე მეზობლის ქაში ჩამოვარდნილა...
რაც გინდ შორ-შორს ვიფრინო, ისე როგორ მოვკვდები,
შუბლზე არ დავიფინო შენი ვაზის ყლორტები.
რადგან გულის ფეთქვა ხარ, და მეც შენსკენ ხელებს ვშლი,
მო, ჩამძირე გეთაყვა, მაგ უცნაურ ფერებში,
თორემ ნისლი მოსცურავს, ალბათ, ჩავა მალე მზე...
ია-ია მოსულა სიყრმის ნატერფალებზე...
განა შიში მაღელვებს? დე? წაშალოს დრომ კვალი...
ერთიც ტკბილად მამღერე, მერე თუნდაც მომკალი...
შენი ბუდის მერცხალი ფრთადახრილი როდი ვარ,
მშვენიერო დღევ ხვალის, დამელოდე, მოვდივარ...

**ჯანიკო გაგუნია**

## დედაქალაქში

ბავშვობისას ახალ კაბას,
ანდა ახალ ფეხსაცმელს
ჩავიცვამდი და მეზობელს
ვთხოვდი მერდინს,
ან საცერს.
როცა წამოვიჩიტე და
გულს სხვა ფიქრი გაუჩნდა:
ახალ კაბას, ახალ ქოშებს
ჩავიცვამდი და კინოში
წავიდოდი ჩაუქად...
დღეს უფრო შორს გადიფრინა,
ფიქრმა გულის კანკალით;
რომ ჩავიცვამ ახალ კაბას,
დამშვენებულს მარმაშით,
არ იქნება არ წავიდე,
თბილის-დედაქალაქში.

## აბესალომი

გაჰყრია ეთერს
აბესალომი,
შხამად ქცევიათ
წუთის წინ ტკბობა,
განსაცდელში რომ
ქალს მიატოვებ,
რაღა იქნება
სხვა მეტი მტრობა!
რომ დაგიჯერო,
ჩემად ვიწამო,
შენი ლოცვა და
შენი სალმუნი,
მოდი დამიჯექ,
გამოიძიე,
ჯერ გამიმართლე
აბესალომი!..

ქეთევან ჭილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეჟერაანთ ქორწილი

მოთხრობა

მხატვარი ლერი ღვინჯილია

სოფლის ქვემო უბანში ჟრიამული იდგა, კეჟერას ეზოში საქორწილო სუფრა იყო გაშლილი, ერთმანეთში არეულ სტუმარსა და მასპინძელს ზუზუნი გაჰქონდა.

— გაინძერით გოგოებო, ხაჭაპური მოგვაწოდეთ — კისრის ძარღვები დაებერა მაშხალაანთ ბაბეს ერთიდაიგივეს ძახილით, ალალივით ხან აღმა მიჰყვებოდა სუფრას, ხან დაღმა და აქეთ-იქით მუჯლუგუნებსაც სთავაზობდა ტალიკ-ტალიკ ბიჭებთან განაპირებულ გოგოებს.

ბაბემ ისეთი სუფრა გაშალა, აქ მოდი და მნახეო! ძროხის ბეჭები და გოჭის დაბრაწული ბარკლები ისევე დაუჭრელი დააწყო სუფრის „სამკაულებად“, შორიდან მაყურებელი ამ პურმარილს მდევების დასაპურებელ ტაბლად უფრო მიიჩნევდა, ვიდრე... თუმცა რით არ იყვნენ აქ მოსული სტუმრები დევკაცები? სკამებზე კლდეებივით დაყუდებულნი ნელ-ნელა შედიოდნენ სუფრის ეშხში. საულვაშეზე ზოგს კოკობი მოძალებოდა, ზოგს კი მთელი პირი-სახე ერთიან ღიმილ-სიცილში ჩაშლოდა.

— სადაც ბაბეა, ლაზათიც იქა ტრიალებს! — თქვა ერთმა და ხუთმანეთიანი წინსაფრის ჯიბეში ჩაუცურა ბაბეს. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, არავინ ჩამორჩა, ყველამ „შეიხოცა“ ბაბეს წინსაფრის ჯიბეზე თავისი „ხელისჭუჭყი“.

— თვალი სვამს და თვალი ჭამსო! — იფერებდა ბაბეც ქებას და თავი ისე ეჭირა, თითქოს წინსაფრის ჯიბე გალმა იყო და თვითონ გამოლმა.

— აბა, სანამ სმა დაიწყება ცოტა „ზაკუსკა“ მიირთვით, თორემ კეჟერას ღვინოს ეგრე ნუ ეხუმრებით, სულ მიწაზე გახოხებთ... — ხელები დაიკაპიწა დაკამ და მადის გასახსნელად მწვანილის ბღუჯა დაახვია.

— ისეთი ღვინოა, მკვდარს გააცოცხლებს! — ყანწიამ ბოლოკი ჩაახრამუნა, მერე შეკონილ თითებზე იკოცა და მოპირდაპირედ თავის ქვისლს შუბლზე „მიახალა“!

— გენაცვალე სულში! — ქეიფის ნაპერწკალი შეენთო ბრგეკაცსაც.

— ბიჭო, რა გულხელი დაგიკრეფია? — ახლა გვერდით მჯდომს მიუბრუნდა დაკა და „იფ-იფ-იფ-ის ძახილით ზურგიელი შესთავაზა.

— ვაჟებო, პურმარილი აკრიფეთ, თამადა კი არა ჩანს, — ჩაიღიმილა თავმოტვლეპილმა სტუმარმა და ლუკმას ყბა უცვალა.

— ქვას ფეხი ხო არ წამოჰკრა? — წამოუბერა ვიღაცამ ხუმრობა, მაგრამ ძვირად დაუჯდა, ჩახითხითებას კინაღამ გადაჰყვა.

— თავს იფასებს ჩვენი ენაკბილა! ხუმრობა საქმეა, მეზობელ სოფლებშიაც გაითქვა თამადის სახელი.

— ენაკბილას არაფერი შეეშლება, ეგრეა, ინტერესში უნდა ჩაგვაგდოს!..

— ხალხნო, სადაც არის პატარძალს მოიყვანენ, ლხინი დამიმშვენეთ, ერთი კარგი „მრავალჟამიერი“ თქვით, ე პურმარილი სად გაგექცევათ? — იხვეწებოდა კეჟერა სუფრის ხან თავში, ხან ბოლოში.

უცებ მიკროფონი აშხრიალდა. ყველამ იყუჩა. ამ შხრიალ-შხრიალში როგორც იყო „ქორწილწამყვანმა“ ამოიხრინწა: — სმენა იყოს და გაგონება! მოგესალმებათ ლხინის თავკაცი, შეუცვლელი და უბადლო თამადა. უკუნითი—უკუნისამდე ჩვენი ენაკბილა.

სუფრას ალტაცების წამოძახილებმა გადაუქროლა. რამდენიმე მოხუცი წამოდგა, სასმისები ასწიეს და იქუხეს: „დაგვილოცნია თავიდან ფეხებამდე, კბილებამდე სადღეგრძელოებით შეიარაღებული თამადაო“. ენაკბილა თავმომწონედ შეტორტმანდა, მხრები შეათამაშა და მადლობა მომიხსენებიაო — ჩარექიანი ყანწი მოსანათლავი ჩვილივით ჩაინანავა ხელებში, მერე სათითაოდ აწონა თვალში ქეიფის ბედოვლათი ღვინიპარიები და ანიშნა: ეგეები ჩემთან არ გაგივათო. იმათაც მკერდზე ხელების გადაჯვარედინებით და კბილების გაკრეჭით დაუდასტურეს სრული მონამორჩილება.

— ნეფე-დედოფალი მოდის, ნეფე-დედოფალი! — შეირხა სტუმრობა და ქალმა და კაცმა ჯიბეს იტაცა ხელი, ერთმანეთს აღარ აცდიდნენ შეუღლებულთა „გაბედნიერებას“.

— დედაკაცო, აკი გითხარი უბანში სიტყვა გააგდე მეთქი, რომ სუფრაზე ფულის ჭაჭანება არა ყოფილიყო! — განზე გაიყვანა სირცხვილის ოფლში გაწურულმა კეჟერამ თავისი ცოლი.

— ვთქვი და აგრე? შენი სახელით დავემუქრე კიდეც, მაგრამ... აბა, დახე...

ენაკბილამ შესვა სიძე-პატარძლის სასმისი და მერე ენა აღარ გაუჩერებია. ღობისძირში ამოწვერილი ბალახიც არ დარჩა უდღეგრძელებელი, თორემ მამა-პაპანი ხომ შამფურივით ატრიალა საფლავებში.

დაიცალა დოქები, ტიკჭორები, ქვევრები... საჭმელ-სასმელი ყელში ამოუვიდა მექორწილეებს, მაგრამ თითქოს პალოთი იყვნენ დაკრული, კაციშვილი სკამიდან არ იძროდა.

— აბა, სიმღერა! — ამოიხრიწინა კვლავ მიკროფონმა და აირია ჰანგი. მერე, „აბა, განიო!“ და აი, მაშინ კი არახრახდა სკამები და იქვე ჭიშკართან წრე შეიკრა. ტაშმაშუამ მანდილი შეაფრიალა და ცეკვა-თამაშს „პირი მოხსნა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ტაში! ტაში! — ყიჟინებდა აქა-იქ, ხან ვაჟურად ბუქნავდა, ხან ქალურად იკვანწებოდა. მარიამს „ტაშმაშუა“ ჯერ კიდევ სიყმაწვილეში შეარქვეს მეზობლებმა ცეკვის დროს „ტაში, ტაშის“ შეძახილის გამო და დღესაც ღირსეულად ამართლებდა ამ მეტსახელს.

ნეფე-დედოფლის ჯერიც დადგა. სიძე ხელობით ქორეოგრაფი იყო თავის სოფლის კლუბში და სხვაფრივ რაკი არ დაიწუნეს, აქ გული მშვიდად ჰქონდა. პატარძალი ჯერ გაიცქნაფა, მერე კი გოგმანით გაჰყვა თავის ცხოვრების თანამგზავრს. ოცდახუთმანეთიანები მტრედებივით დაჰფარფატებდნენ თავს ნეფე-პატარძალს.

— ჰაი, დადადადა, ჰაი, დადადადადა, — სუფრის განაპირას ბუტბუტით მკერდში მუშტს იბრაგუნებდა კეჟერა და პატარძლის ხათრით-ღა აჭერდა ენას კბილს.

— დაჰკა დოლი! — შეუძახა გოდორამ ძაგნას ბიჭს, როცა გარმონმა გაოცებული კაცივით დააღო პირი, — ჰაიტ! გადაიშალა მხრებში და კიწინკიწინით შემოუარა წრეს.

— ოქრო ხარ, შე სახეძაღლო! — ტაში ფეხებთან მიუტანა ყანწიამ.

გოდორა ტაბლიას რძლის წინ თანდათან ჩაცხრა და ბუჩქივით აზრდილი თმა პირ-სახეზე ჩამოეშალა.

— გადი, ქალო, გაჰყევი! — შეჩოჩქოლდნენ ქალები. ტაბლიას რძალმა შორს დაიჭირა თავი, ქმარი ავად მყავს, რა მეთამაშებაო. გოდორამ ახლა თმა ისევ ყალყზე აიყარა და ფეხის გულები მიწას ჩააცვითა. არადა არ იძვროდა ტაბლიას რძალი. ქალები პირდაპირ თვალში უვარდებოდნენ ეშხიან მოცეკვავეს: — ჩვენც აქა ვართო, მაგრამ გოდორა იმის ვაჟკაცი იყო თავისი სულიერი ამაღლება ფეხის მტვრისათვის გაეყოლებინა?! გოდორამ დამკვრელები თუმნიანებით დაასაჩუქრა და ისევ გაუსვა და გამოუსვა. ძაგნას ბიჭმა ისეთნაირად შემოჰკრა დოლს, ლამის იღლიიდან გავარდა, კოპიამ ორღობის ბოლოს გაიტანა გარმონი, ლხინი გაჩაღდა, მაგრამ რა გაჩაღდა.

ღობესთან ცალკე ჟრიამულობდნენ ქორწილის პატარა სტუმრები, იმათაც მოესწროთ ხუთი ბოთლი ლიმონათის გამოყლურწვა. ენაკბილასა და გოდორას ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფეხის სწრაფ გასმა-გამოსმაში, იდგა ბავშვების ერთი სიცილ-კისკისი.

გოდორამ, რაკი თავაზიანობით ვერაფერი გააწყო ტაბლიას რძალთან, ხელი წაავლო და ძალით გამოათრია წრეში.

უი, ქა! — გადახალისდა ტაში.

ტაბლიას რძალმა ერთი კი ვითომ შემართა ორივხელი, მაგრამ თითქოს წელკავმა შებოჭაო, ისევე გაქვავდა.

ენაკბილამ მისწი-მოსწია ცეკვის ტრფიალნი, თავისი და კინწისკვრით გააგდო მოედნიდან, მერე გოდორას აეყუდა წინ და ხელები ავად აუთამაშდა.

კაცი მოკლა ამ სამიწემ! — ვაი, იმ ტაშის შემოკვრას, ტაშმაშუამ რომ შემოჰკრა და ეცა ტაბლიას რძალს თმაში. მექორწილენი ერთმანეთს დაერივნენ და ისეთი ბასტიბუბუ გაიმართა, ძაღლი პატრონს ვერა სცნობდა.

დაიჭით, კაცები არა ხართ, დაიჭით! — ხაჭაპურიანი თეფშებით ხელში უწიოდა მეზობლებს მაშხალაანთ ბაბე.

უეცარი წივილ-კივილის გაგონებაზე მოცეკვავე ბიჭუნებს ხელები ჰაერში დარჩათ, ჩიტებივით აფართხალდნენ, აქეთ ეცნენ, იქეთ ეცნენ... გოდორას ბიჭი არც იყო კარგად მიხვედრილი მომხდარ ამბავს, მაგრამ როცა იმისი მიწაზე გაშოტილი მამა ძლივს წამოაყენეს, მაშინ კი შესტირა, ვაიმე მამილოო და დედას კალთაზე ჩააფრინდა.

ენაკბილას ბიჭი გადაფითრებული შეჰყურებდა ხან მამას, ხან მილიციელს...

გაქვავებული, მუშტისოდენები იდგნენ ტიალ ეზოში კეჟერა და მისი ცოლი.

კენკიაშვილების მიტოვებულ სუფრას ქორმაც ჩამოუქროლა და იმანაც წაიღო თავისი წილი.

ორბეთელთა თაოსნობა საიმედო ხელშია

# სოფელი ღონიერდება



ბაბულია წიკლაური

ორბეთში დღესაც სიყვარულით იგონებენ მწყემს ივანე წიკლაურს, 40 წელი რომ უვლიდა ცხვარ-ძროხას.

...იმ მადლიან კაცს ორბეთის დარდი გაჰყოლია: ხალხი ქალაქმა გაიტყუა, დიდგორის მიწას პატრონობა უნდა, აქაურობას თუ კაცის ხელი მოაკლდა, ყველაფერი გავერანდებაო.

ცხვარში დაბერებულს დედაქალაქის სიახლოვე უკარგავდა თურმე მოსვენებას.

ნაწილობრივ ასეც მოხდა. ზოგმა რა მოიმიზეზა, ზოგმა რა და თბილისსა და სამგორში გადაბარგდნენ ბექაურები, წიკლაურები, აფციაურები, თეგეთაშვილები... დაცარიელდა წყრულეთი, წვერი, დრე, ლასტის ციხე... ორბეთს მიმდებარე სხვა სოფლები.

დღეს ორბეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ივანეს ქალიშვილი ბაბულია წიკლაურია.

ბაბულია ახალგაზრდაა, ქალაქს არ დარჩა, დიდგორისა და ორბეთის შემოგარენისათვის თვალის შევლება ერთ რამედ მიღირდაო და უკანვე დაბრუნდა, თბილისის კულტსაგანმანათლებლო ტექნიკუმის კურს დამთავრებულმა სოფლის კლუბის გამგედ დაიწყო მუშაობა.

სოფელი თავის გულშემატკივარს მაშინვე შეამჩნევს. გამრჯე ქალი კომკავშირის თეთრი წყაროს რაიკომმაც გამოარჩია— კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დაავალეს.

გაუჭირდა ბაბულიას.

ახალგაზრდებს თვალი დედაქალაქისაკენ ეჭირათ.

— ეცადე საქმე გამოუჩინო, მიწას ნუ მოწყდებიან, — ურჩიეს მაშინ მას კომკავშირის რაიკომში.

ბაბულია სოფლის ცხოვრებამ გაიტაცა. იმ ხანებში რაიონული გაზეთის კორესპონდენტობაც იკისრა. თანასოფლელთ განსაკუთრებით მისი სუსხიანი წერილები მოსწონდათ, საღაც ოდითგან მესაქონლეობით განთქმული სოფლისადმი მეტ ყურადღებას მოითხოვდა.

გავიდა ხანი. სოფლის კლუბიდან საქმის კარგი ორგანიზატორი ორბეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კადრების ინსპექტორად გადაიყვანეს, შემდეგ, აქვე პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. მუდამ ირჩევდნენ სოფლის საბჭოს დეპუტატად. შრომასთან ერთად ბაბულიამ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაუსწრებლად განაგრძო სწავლა. ახლა მეხუთე კურსზეა...

როცა ორბეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას ეძებდნენ, რაიონის ხელმძღვანელთა ყურადღება ბაბულია წიკლაურზე შეჩერდა. პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველ მდივანს დ. გონაშვილსა და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს მ. დალაქიშვილს ალღომ არ უმტყუნათ, მათ წინადადებას სოფელმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. მწყემსი ივანე წიკლაურის ქალიშვილი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

— არ გაგიჭირდება, მხარში ამოგიდგებით! — ითავე და მოგყვებით! — გაამხნევეს თანასოფლელებმა ახალგაზრდა ქალი.

ბაბულიას გამოუცდელობისა ეშინოდა, გვერდში ყოფილი პედაგოგები ნუნუ უსტიაშვილი, ვოგი თეგეთაშვილი და გიორგი ზანგურაშვილიც ამოუდგნენ. განსაკუთრებით ამ უკანასკნელის მხარდაჭერამ შეაძლებინა ახალგაზრდა ქალს პირველი სიძნელეების გადალახვა.

სოფელს თავიდანვე დაუყვავა. იცოდა, დღენიადაგ ქალაქისაკენ მაცქერალ ორბეთელს უფრო სითბოთი დაამკვიდრებდა მშობლიურ მიწაზე.

ვერ ვიტყვით, რომ ბაბულიას საქმე თავიდან იოლად აეწყო. ახალგაზრდა ქალს გაუჭირდა 11 სოფლის გაძღოლა. ორი წელია შვებულება არ აუღია. დიდ წამოწყებას, რომელიც რესპუბლიკაში ორბეთელთა თაოსნობით არის ცნობილი, ყურადღება ერთი დღითაც რომ მოაკლო, არაფერი გამოვა. იცის ეს ბაბულიამ და სოფლიდან ფეხს არ იცვლის. საუკეთესო საძოვრებით, ტყითა და ველ-მინდვრებით, მესაქონლეობით ცნობილ სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლები: ორბეთი, ზირბითი, პანტიანი, ამლივი, ლოლოვანი, დრე, პირველი და მეორე შამთა, ღვევი, ვანეთი, ლასტის ციხე მის მუდმივ ყურადღებას საჭიროებს.

სატკივარი ბევრი აქვს სასოფლო საბჭოს. ლასტის ციხეს ერთი კომლიღა ალექსი აფციაურის ოჯახი შემორჩა. ხშირად აკითხავს ამ სოფელს (უფრო ნასოფლარს). — რამე ხომ არ გაგჭირვებიათ, საქონელი ხომ არ გეზარალათო, — გაეხმიანება, გაამხნევებს, მოიკითხავს ხოლმე ალექსის ოჯახს. აფციაურებიც მხნევდებიან.

— აქაურობას კაცი დათმობდა? — ამბობს ბაბულია და მიზეზსაც არ მალავს, უგზოობამ აყარაო აქედან მოსახლენი. 1952 წელს მარტო ღვენის რვაწლიან სკოლაში სამასამდე ბავშვი სწავლობდა. დღეს აქ სკოლა — საერთოდ არ არსებობს, 11 სოფელს რას გასწვდება ორბეთის ერთადერთი რვაწლიანი სკოლა. მანგლისსა თუ თბილისში სასწავლებლად გაკრეფილი ახალგაზრდები უკან აღარ ბრუნდებიან. ეს საკითხი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე ჯერ კიდევ ადრეც დაუყენებიათ ორბეთელებს. ვერა და ვერ მიაღწიეს სასოფლო საბჭოს იმ ერთი რვაწლიანი სკოლის ბაზაზე საშუალო სკოლა-ინტერნატის გახსნას

ბევრი რამ გაკეთდა საბჭოში ბაბულიას თაოსნობით. შეკეთდა სოფლის შიდა გზები, გაიყვანეს ფარცხის-ორბეთის გზა, დაგეგმილია ღვევისა და დრეს შარაგზების მოხრეშვა. ზირბითში სასმელი წყალი გაიყვანეს.

სოფელ დრეში საექიმო პუნქტი დაიხურა, ექიმს ვინლა დაეძებდა, ექთანიც ვეღარ იშოვეს. ბევრი იწვალა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, იბრძოლა და მეზობელი სოფლის რძალს, ახალგაზრდა ექთანს ჩააბარა დრეში ახალგახსნილი სამედიცინო პუნქტი.

სოფელს ბაგა-ბაღი არა აქვს. ორბეთში ერთი მეუდრო, წუნარი ძველი შენობა წლების მანძილზე გამოკეტილია. დამითმეთ, გზის ოსტატს ბინას მე ვუშოვნიო, სად არ დააყენა საკითხი თავმჯდომარემ, მაგრამ უარით გამოისტუმრეს.

სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე კლუბის არცერთი შენობა არ არის.

შარშან ორბეთელებმა დიდად გაიხარეს, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ავტომატური სატელეფონო სადგურის მშენებლობა დაიწყო. სიხარული ნაადრევი გამოდგა, ამ საქმის მოთავეებმა მუშაობა დაიწყეს, მაგრამ სანახევროდ გაკეთებული მიატოვეს. სოფლებთან დაკავშირება ძველებურად ჭირს, სხვაც ბევრი სატკივარი აქვთ ორბეთელებს, ამიტომ ისინი პრაქტიკულ დახმარებას საქართველოს სსრ განათლების, კულტურის, კავშირგაბმულობისა და გზათა სამინისტროებისაგან ითხოვენ.

რესპუბლიკაში ორბეთელთა თაოსნობის გახმაურების შემდეგ ბევრმა იბრუნა პირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლისაკენ. უკანვე დაბრუნდნენ შაქრო თეზელაშვილის, ივანე აფციაურისა და ნატო ბექაურის ოჯახები.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იმედით შესცქერის მაგიდაზე დალაგებულ განცხადებებს, გრძნობს მიტოვებულ სახლ-კარს მალე დაუბრუნდებიან ბექაურები, წიკლაურები, აფციაურები...

ბაბულიას სწამს ორბეთელთა დევიზი: „ცხოვრობ სოფელში? — იყოლიე პირუტყვის ნორმის მაქსიმუმი!“ წარმატებით განხორციელდა. თავიდან, როცა ინიციატივა აიღეს, ორბეთის მოსახლეობას 486 მსხვილფეხა საქონელი, 386 ღორი, 2022 სული ცხვარი ჰყავდა. ერთი წლის შემდეგ ეს რიცხვი გაიზარდა. დღეს სასოფლო საბჭოში 588 მსხვილფეხა საქონელია, 584 ღორი, 2427 ცხვარი ჰყავთ. სასოფლო საბჭო 1978 წლიდან ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმას გადაჭარბებით ასრულებს. ორბეთელებმა იციან, რომ მათი თაოსნობის განხორციელება საკარმიდამო მეცხოველეობის თანამედროვე მოთხოვნის დონეზე აყვანის გარეშე წარმოუდგენელია. ორბეთში, სადაც დღითი-დღე მაღლდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის დონე, იგი აქ რენტაბელური გახდა. ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დარგობრივი სპეციალიზაციის განვითარებას, ორბეთში ძირითადად მსხვილფეხა მესაქონლეობა ვითარდება. მოსაგვარებელი კი ჯერ კიდევ ბევრი რამ არის. აკლიათ მწყემსები.



დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები



საკმარისი არ არის საძოვრები. ორბეთის სოფლები ცუდად მარაგდება საჭირო პროდუქტით. მაღაზია ვერ გაუხსნიათ, გამყიდველი ვერ შეურჩევიათ. საზოგადოებრივი მეცხოველეობის პარალელურად საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებისათვის აუცილებელი გახდა ზოოვეტერინალური მომსახურეობის გაუმჯობესება. სასოფლო საბჭომ აღრიცხვაზე აიყვანა სოფლებში პირუტყვის არამყოლი ყველა კომლი, დაიწყო ზრუნვა საძოვარი ფართობების გაზრდისათვის.

ბაბულია წიკლაურმა თვითონ რომ კარგად გაიაზრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება საქართველოს მეცხოველეობის რესპუბლიკად გადაქცევის შესახებ, მშრომელებსაც ნათლად განუმარტა ამ მიზნისათვის ბრძოლის მნიშვნელობა. სწორედ აქედან დაიწყო ორბეთელთა თაოსნობა, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც თეთრი წყაროს, ისე რესპუბლიკის მოსახლეობას შორის. სოფლის მშრომელებში საგრძნობლად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და ნამატი პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობა, შემცირდა სოფლად პირუტყვის არმყოლ კომლთა რაოდენობა. ყოველნაირად იზრდება მოსახლეობის მიერ პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. ინიციატივის განხორციელებას ხელი შეუწყო სოფლის თავყრილობაზე ანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშების მოსმენამ. აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ორბეთელები საკუთარი საკვებით აზამთრებენ თავიანთ პირუტყვს, ბევრი სიმწარე ახსოვთ აქაურებს, რესპუბლიკის გარეთაც კი უხდებათ საკვებისათვის სირბილი.

სოფლის დეპუტატებმა ყურადღება დაუმუშავებელ მიწის ფართობებსაც მიაქციეს, უოველი მეტრი აღრიცხეს და დასამუშავებლად გაანაწილეს.

ხალხის დაინტერესების შემდეგ საგრძნობლად გაიზადა სასოფლო საბჭოში პირუტყვის სულადობა, ღორი და მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი და ფრინველი. ამ საქმეში სასოფლო საბჭოს მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა ძალიან ეხმარება. ორბეთელებს არ ავიწყდებათ მეურნეობის ყოფილი დირექტორის გ. ბაკურაძის ამაგი. კმაყოფილნი არიან ახლანდელი დირექტორის ლ. აბდუშელიშვილის დიდი დახმარებით. მეურნეობამ სოფელს საკმაო რაოდენობით გამოუყო საბალახო. სატყეო მეურნეობამაც თავისი წილი გაიღო და საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარების საქმემ წინ წაიწია. 1979 წლის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, გარეული ხილის ექვსი თვის გეგმა და ვალდებულებები შესრულდა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის სახალხო დეპუტატების თეთრი წყაროს რაიაღმასკომმა 600 მანეთის ფულადი პრემია გადასცა სასოფლო საბჭოს, ასევე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ბაბულია წიკლაური ქალთა დღეს „ჟიგულით" დააჯილდოვა.

საინტერესოა ორბეთის მომავლის გეგმები; იგი საბჭოს თავმჯდომარის სამოქმედო პროგრამაა. ორბეთელები სასოფლო საბჭოს ჭარბი შემოსავლიდან კლუბის აშენებას აპირებენ, დაგეგმილია ღოლოვან ორბეთ-ამლიევის გზისა და წყლის გაყვანა, პროექტი უკვე მზადაა.

ბაბულია დიდ უპირატესობას ანიჭებს თავკაცის მაგალითის ძალას. მას ხშირად ნახულობენ ყანაში თოხით, ბარითა და ფოცხით გასულს, თვით სასოფლო საბჭოს აპარატის მუშაკებსაც მიზომილი აქვთ კარტოფილი გასათოხნად, თვითონ ბაბულიას დედა, თამარი 27 წელია ფერმაში მწველავად მუშაობს. მოხუცდა, უჭირს, მაგრამ თავს მაინც არ ანებებს. შვილის ეხათრება. ივანეს სახელს უფრთხილდება. ჩვენ თუ არ ვიშრომეთ, სხვას როგორღა დაასაქმებო, — ურჩევს კიდეც შვილს. დედა-შვილს შინ 3 ძროხა 2 მოზარდული, ცხვარი და ღორი ჰყავთ, თითოეულ ფურზე სახელმწიფოს 100 ლიტრ რძეს აბარებენ.

საქონელი ბლომადა ჰყავთ ორბეთელებს თავიანთ კარმიდამოში.

სოფელი ღონიერდება.

თუ სოფელი ღონიერია, ქვეყანასაც არაფერი გაუჭირდება.

ორბეთელთა თაოსნობა რესპუბლიკის კუთვნილება ხდება.

ნათელა ფაილოძე



### სინანული

იდუმალების ნისლით ნაბური,
სახება შენი გულს ჩამრჩენია,
თითქოს გმასპინძლობს ტყე უდაბური
და ესიზმრები სიზმარს მშვენიერს.

წამომყოლია შენი ღიმილი,
ვით დაშვებული ღამის მნათობი,
ამაო ლტოლვა-გულისტკივილით,
იანვრის ცივი სუნთქვით დამზრობი.

პირველად, ჩაგწვდი სულში ზღვაურად
და თვალზე ცრემლიც აგიციმციმე,
მაგრამ შემდეგ კი მეუცნაურა,
მოულოდნელი შენი სიცივე...

ადრე, მეგონა, მაგ თანაგრძნობას,
უდიდეს ხანძრად გადავაქცევდი,
სინანულს ვარქმევ დღეს ამ ბავშვობას
და მოგიგონებ გულის ჩაწყვეტით.

### მონატრება

უნაზეს გრძნობით ქებულს,
ციურ ფრინველად გსახავ,
ერთ დროს იმედო ჩემო,
მაგრამ ტკივილო ახლა...

ვეღარ მოვედი შენთან
შორს დარჩა სივრცე ძველი
ხსოვნა გარდასულ დღეთა,
ნუკრი თვალებით — სველი.

ცა იცრემლება წვიმით,
ნისლი გედის ფრთას იქნევს
და ამაღლება სიმის,
ამ თრთოლვაშია იქნებ?

შენი სიშორე მეტყვავს
და მონატრება მწველი,
როგორც ცისფერი სევდა,
უფაქიზესი ცრემლის...

რამაზ ბარკალაია

# ოცნებანი მეფისა თამარისა

ნარკვევი

## ხატობა ფშავთა

ფშავის არაგვისა და მთიულეთის არაგვის შესართავთან თქვენ თვალწინ უზარმაზარი, ზღაპრული პანორამა გადაიშლება. თითქოს მთათა მწვერვალებიდან ჟამს ჩამოუტანია სიმდიდრე და სიუხვე ბუნებისა.

უზარმაზარ ბულდოზერებს —ისტორიის დევებს აუწყვეტიათ ცით დაბმული საუკუნენი და არის ორგია შრომისა, ისმის გუგუნი გამარჯვებისა.

მოჰქუხს არაგვი და ისმის სიმღერა „არაგვიანთა", ხალხი შესევია მთათა გრეხილებს, თითქოს სურს დაძრას მთები ადგილიდან, თითქოს უნდა შესწორება შეიტანოს ჟამთა სრბოლაში...

იქ, სადაც ორი მდინარე ერთმანეთს ერთვის, სადაც თამარ მეფე ოდეს შეჩერებულა და უბრძანებია ნება ღვთისაი, იქ, სადაც ჩვენს წინაპრებს დამარცხება უხილავთ მტერთა ურჯულოთა, ამჟამად არის ხატობა ფშავთა, — შენდება სიმაღლე სამშობლოსი, უზარმაზარი ჰიდროელექტროსადგური „ჟინვალჰესი", ხორცს ისხამს ოდესღაც ჩაფიქრებული კეთილი აზრი და მიზანი გმირი და უკვდავი სამშობლოსი!..

## მთათა სიუხვე

მთები არ დგანან, მთები დაბაჯბაჯებენ, თითქოს ოქროს ეზიდებიან უფსკრულებიდან... და არის დიდი ძებნა წარსულისა და აწმყოსი... შრომის ხატობაა ფშავეთში. უზარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზარ ამწეებს დევთა ხიარუმი გაუმართავთ. არის დიდი შედუღება გულთა და სულთა. თითქოს ისტორიული ომიდან ბრუნდებიან გამარჯვებული მჭექაბუკები და ქალიშვილები, მამულის გუთანს ექიდებიან ხალხად მდგარი საუკუნენი. აფეთქებაა სულისა, სიყვარულის ამოუცნობ ლაბირინთებად გათხრილია უზარმაზარი გვირაბები მთათა მკერდში... ამაყად დგანან სიმაღლენი ამა ქვეყნისა... ჭაბუკებს და ქალიშვილებს შრომისა და სიყვარულის ლელოდ გაუხდიათ ფშავის არაგვისა და მთიულეთის არაგვის შესართავი!...

ფრთას ისხამს ოცნება მეფისა თამარისა, ოდეს უბრძანებია მზისა თამარსა ფშავის არაგვის წყლით რუსთავ-ტფილისის ავსება, ვითარცა გულისა ლამაზისა სიყვარულითა!..

ზინა ბელთაურს და ლია ხერგელაძეს ცათა მერნებად შეუბამთ უზარმაზარი ამწეები და ისე დააქროლებენ განძით სავსე „ციცხვებს“, თითქოს მზეზე ოქროს ჯაჭვით დაკიდებული სალარო იყოს...

შრომის ფერხულში დგანან მეკომპრესორეები ლიდა ბუჩუკური და ნანა თანდიაშვილი.

ნანა 18 წლისაა. მომავლის რწმენით აღზევებული, სიყვარულით სავსე ქალიშვილი თავს დასტრიალებს ყოველ საქმეს. ის წარმოების მოწინავე, აქტიური მშენებელია, რომელიც კომკავშირული საგზურით მოვიდა დუშეთის რაიონიდან, უბნის კომკავშირის კომიტეტის მდივანია.

ვაუკაცური შემართებით შრომობენ ჟინვალჰესის მშენებლობის მშენებლები: ანზორ მუზაშვილი, ზაურ ბერძული, ამირან მოთიაშვილი. ამირანი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრია, დუშეთის რაიონის საბჭოს აღმასკომის დეპუტატია, დაჯილდოებულია მედლით — „შრომითი მამაცობისათვის.

ბაგრატ ლომიძე — ეს ძველი გვირაბგამყვანი ბერმუხა და ტყიბულის შახტების ყოფილი ნოვატორი, ამჟამად აქ, მთათა გულში კომპლექსურ ბრიგადას ხელმძღვანელობს, ილვწის ახალი ტექნიკის დანერგვისათვის.

## საუნჯე გულთა

ჟინვალჰესის მშენებლობას, რომელიც 1971 წელს დაიწყო, აქვს როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური მნიშვნელობა. ჰესი სასმელ წყალს მიაწვდის თბილისს და რუსთავს, მორწყავს ამ ქალაქების გარე მიდამოებს, დაახლოებით 38 ათას კვადრატულ მეტრს.



დატბორვის ზონაში, ფშავის არაგვისა და მთიულეთის არაგვის შესართავთან, შეიქმნება ხელოვნური ზღვა, რომლის ფართობი 11 600 კვადრატული მეტრი იქნება, ზღვის გარშემო გაშენდება დასასვენებელი ზონები და ტურისტული ბაზები.

მშენებლობის პერსპექტივებზე გვესაუბრება ჟინვალჰესის მშენებლობის მთავარი ინჟინერი ბორის გოგუა.

— ადგილობრივი ბუნებრივი მასალებით შენდება ნაყარი მიწის კაშხალი, აგრეთვე ყრუ კაშხალი თიხის ბირთვით და საცემენტაციო გალერეით.

ჰიდროელექტროსადგური მიწის ქვეშ შენდება, სადაც განლაგდება ოთხი აგრეგატი.

საუბარი განაგრძო ჟინვალჰესის მშენებლობის უფროსმა ავთანდილ ჩალაძემ:

სათავე ნაგებობის კომპლექსში იქნება წყალმიმღები რკინა-ბეტონის კოშკის ღრმული წყალმცლელით და წყალვარდნილით.

მიწისქვეშა მშენებლობა ოთხი ჭაურიდან ხდება, რომელთაგან სამი გაყვანილია, ერთი გაყვანის პროცესშია. წყალსაცავიდან გამომავალი წყალი 8,6 კმ. მანძილზე მიედინება გვირაბებით, შემდეგ ღია არხით, რომელიც ხვდება წყლის სადღეღამისო მარეგულირებელ აუზში. აუზის მოცულობა 1 მილიონი კბ მეტრია. აუზიდან წყალი წყალმიმღების საშუალებით რკინა-ბეტონის მილებში მიედინება და თბილისის ზღვაში ჩადის. ტრასის საერთო სიგრძე 49 კილომეტრი იქნება.

ჟინვალჰესის ჰიდროელექტროსადგური, რომლის მშენებლობა 1981-82 წლებში უნდა დამთავრდეს, წელიწადში 600 ათას კილოვატ ენერგიას გამოიმუშავებს და სამჯერ აღემატება ზაჰესის სიმძლავრეს.

## მომავლის ჰეროიკა

ჟინვალჰესს საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გარდა ადგილობრივი რაიონული მნიშვნელობაც ექნება ახალგაზრდა მომავალი კადრების აღზრდისა და დამაგრების საქმეში, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის განვითარებისათვის. მის კომპლექსთან იქმნება საწარმოო-დაწესებულებები: სკოლა, საავადმყოფო, საბავშვო-ბაგაბაღი, კაფე-სასადილო, უნივერმაღი, პურის საცხობი, აბანო, სასტუმროები, კულტურის სახლი (500 ადგილით) ბაზარი, ბიბლიოთეკა, წიგნის მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, კინოთეატრი, სპორტული მოედნები, ცენტრალური საქვაბე გათბობისათვის.

ეს დასახლება უმოკლეს ხანში გადაიქცევა დაბა-ქალაქად, შემდეგ კი ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად.

ელდარ მიქაძე

# თეატრში დარჩენილი ფიქრებით

შარშან დეკემბერში ჩვენი საზოგადოებრიობა მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრის დაარსების 50-ე წლისთავს ზეიმობდა. პატარა დარბაზში უამრავ სტუმარს მოეყარა თავი. ღელავდა თეატრის კოლექტივის ახალგაზრდობა. ღელავდნენ თეატრის ვეტერანები გ. კუპრაშვილი, თ. თვალიაშვილი, გ. დარისპანაშვილი, ვ. არეშიძე და სხვები. კულისებში განმარტოებით იჯდა სამოცდაათ წელს მიღწეული, სათნო სახის თმაშევერცხლილი მანდილოსანი, რომელსაც ღრმა, აზრიანი თვალები სცენისათვის მიეპყრო და ფიქრს მისცემოდა. ეს გახლდათ თეატრის ამაგდარი, თეატრის განვლილი ცხოვრების თანაზიარი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მერი ერგნელი.

კარგა ხანია, რაც მერი ერგნელმა დატოვა თეატრი, მაგრამ თეატრში დარჩენილი ფიქრებით, თეატრიდან გამოყოლილი სიხარულის მოგონებებით ცოცხლობს და დღესაც თეატრის წარმატებების თანაზიარი ხდება.

მსახიობი იგონებს ორმოცდაათი წლის წინათ განცდილ სიხარულის დღეებს. იგონებს რეჟისორისა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელების ა. თაყაიშვილის თაოსნობას, რომელმაც ჯერ კიდევ გამოუცდელი და სცენაზე თამაშს დახარბებული გოგონა მიიწვია თეატრის პირველ სპექტაკლში. მერი ერგნელი გამცემსა და მოღალატე ფრაუ ბუტნერს თამაშობდა. მსახიობის თამაშით გამოწვეული შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ ნორჩმა მაყურებელმა დადებითი გმირის მოთამაშე თამარ თვალიაშვილი ყვავილების თაიგულებით აავსო, ხოლო ხალხისა და ქვეყნის მოღალატე ფრაუ ბუტნერს დაემუქრა. თეატრის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა მსახიობი კულისებიდან გაეპარებინა.

ახალბედა მსახიობს კრესა ქებით იხსენებდა. მისი პარტნიორების გ. კუპრაშვილის, თ. თვალიაშვილის, გ. დარისპანაშვილის აზრით კი მერი ერგნელი იმ მხრივაც იყო საინტერესო, რომ მის გვერდით თამაში საშუალებას აძლევდათ მთელი შესაძლებლობებით წარმოედგინათ თავიანთი გმირები. მერი თამაშს უადვილებდა პარტნიორებს და მათგანაც მკაცრად მოითხოვდა.

მსახიობს მთელი თავისი მოღვაწეობის ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ მოზარდების წინაშე თამაში დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. აქ საჭიროა ყოველი სიტყვის, ყოველი დეტალის ზუსტი გაანგარიშება, რათა ნორჩებისათვის სწორად გაიხსნას გმირის ბუნება, გამიზნული სახის თავისებურება. წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგმა შეიძლება უკურეაქცია გამოიწვიოს. აღნიშნული მოსაზრების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მერი ერგნელის მიერ ნათამაშევ გალჩიხას (ა. ოსტროვსკის პიესიდან: „უდანაშაულო დამნაშავენი“).

კრუჩინინა ეძებს შვილს, რომელიც ოცი წლის წინათ თავშესაფარში მიაბარა. იგი მიდის გალჩიხასთან შვილის ამბის გასაგებად. სიბერისაგან მიხრწნილი ავადმყოფი გალჩიხა ვერ იხსენებს რომელ ბავშვზეა ლაპარაკი და ერთმანეთში ურევს ტყუილს თუ მართალს. როდესაც იგი კრუჩინინას ეუბნება, ბავშვი დაიღუპაო, — ეს სიტყვები ისეთი სწორი გამომსახველობით იყო ნათქვამი, რომ აღშფოთებული ბავშვები ფეხზედ წამოდგნენ და დაიძახეს: „ცოცხალია! ცოცხალი და კულისებშიაო“.

სულ სხვა პლანის სახეზე მოუხდა მუშაობა მსახიობს პოპოვის პიესა „ოჯახში“. პიესა რევოლუციისა და კომუნისტური საზოგადოების ფუძემდებელს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბავშვობის ეპიზოდებს ასახავდა და მერი ერგნელს ბელადის დედა — მარია ალექსანდრეს ასული უნდა განესახიერებინა. მარია ალექსანდრეს ასული განსხვავებული სახე იყო ადრე ნათამაშევი როლებისაგან: მსახიობი არასოდეს იმეორებდა სცენაზე ერთხელ მიგნებულ და გათამაშებულ დეტალს. ბელადის დედის სახე მისთვის ახლა უფრო დიდი ფიქრის, ღელვის, განცდის ობიექტი გახდა. მას უნდა ეთამაშა დედა ბავშვისა, რომელიც აღსავსე იყო ადამიანური სიკეთით, დიდი უბრალოებითა და დიდბუნებოვნებით. სამ თვეს დაჰქონდა მსახიობს გულით მარია ალექსანდრეს ასულის სახე. ეძებდა ბელადის ბიოგრაფიაში საჭირო მასალებს, ემზადებოდა ბავშვებისათვის ეჩვენებინა ბელადის დედის მიმზიდველი, საინტერესო პორტრეტი.

როგორც თეატრის ვეტერანები აღნიშნავენ, სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონია. მერი ერგნელის ყოველ გამოჩენას სცენაზე ბავშვები ტაშით ხვდებოდნენ. თავად მერისათვისაც მოპოვებული წარმატება მისი შემდგომი მუშაობის მასტიმულირებელი გამხდარა.

1942 წელი. თეატრის აფიშა იუწყებოდა, მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ იქნება წარმოდგენილიო. როლები ასე იყო განაწილებული: თ. თვალიაშვილი — ჯულიეტა, ვ. არეშიძე — რომეო, მერი ერგნელი — ლედი კაპულეტი, გოგუცა კუპრაშვილი



პოპოვი — „ოჯახი“. მარია ულიანოვა (ლენინის დედა)

— ძიძა. სპექტაკლი იმდენად საინტერესო გამოდგა, რომ თეატრმცოდნეებმა იგი თეატრის მეორე დიდი პერიოდის დასაწყისად მიიჩნიეს. იგივე შეიძლება ითქვას მერი ერგნელის შემოქმედებაზეც. უ. შექსპირის გმირთან შეხვედრა მიგვანიშნებდა, რომ მსახიობი შემოქმედებითად მომწიფდა, პროფესიულად დაოსტატდა. მონტეკების დაუნდობელი მტერი ლედი კაპულეტი მკაცრი და დაუნდობელია საკუთარი შვილის მიმართაც. მერი — კაპულეტი ხაზს უსვამდა ორი გვარის სასიკვდილო სიძულვილს, რომლის მსხვერპლიც რომეო და ჯულიეტა აღმოჩნდნენ.

ამრიგად, თამარ თვალიაშვილს, ვახტანგ არეშიძის, გოგუცა კუპრაშვილის და მერი ერგნელის ბრწყინვალე თამაში საწინდარი გახდა თეატრის ახალი წარმატებისა.

ა. ოსტროვსკის დრამატული ქმნილებები ყოველთვის ამშვენებდა ქართული თეატრების სარეპერტუარო აფიშებს. მოზარდ მაყურებელთა თეატრიც ხშირად უბრუნდებოდა რუსული კლასიკური დრამატურგიის შედევრებს. მერი ერგნელისათვის შემოქმედებითი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა კუკუშკინას როლი პიესა „შემოსავლიან ადგილში". კუკუშკინა — დედა, ქალი დახარბებული სიმდიდრესა და ფუფუნებაზე. მისთვის უცხოა ნამდვილი სიყვარულით მიღებული ბედნიერება. იგი ვაჭრობს შვილების ბედით და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ქალიშვილები ვაჭრული ანგარიშით გაათხოვოს. მსახიობისათვის, იმ მხრივაც იყო საინტერესო აღნიშნული როლის თამაში, რომ აქ სრულიად განსხვავებული სახის შექმნა მოუხდა, რომელიც მერი ერგნელმა მაღალი პროფესიონალური ოსტატობით გამოკვეთა.

მერი ერგნელი ყოველთვის გრძნობდა, რომ ქართველი მსახიობისათვის მაინც მთავარი ეროვნული გმირების ხასიათების თამაში იყო. ამიტომ უხაროდა ს. მთვარაძის, გ. ნახუცრიშვილის, გ. ბერძენიშვილის პიესებში მონაწილეობა.

ქართული კლასიკა მისთვის საინტერესო იყო და სცენაზე თამაშის სურვილს აძლიერებდა. ა. წერეთლის „პატარა კახში" მან ქალური კდემამოსილებითა და სინაზით წარმოადგინა ტურფას როლი. ტურფას როლს ხშირად თეატრმცოდნეები „ცისფერ როლს" უწოდებენ, მაგრამ მსახიობმა იგი ერთგვარად თავისებურად გაიაზრა. ამ მხრივ მკვეთრი და საინტერესო იყო ლევან ქვაბელიძესთან მისი შეხვედრის სცენა.

თუ თიმსალ-მაკოს როლში მსახიობის ფოტოსურათს დაუკვირდებით, შენიშნავთ, რომ ის იღიმება. გავიკვირვეთ. განა აქვს თიმსალმაკოს („ბაში აჩუკი") რაიმე დეტალი როლის მიხედვით, რომ მსახიობი იღიმებოდეს? აქ თვითონ მსახიობი დაგვეხმარა. სახე იმგვარად ჰქონდა გახსნილი, რომ ვერაგობასა და გამცემლობას, მსახიობი ღიმილისა და მხიარული განწყობილების მიღმა ფარავდა.



„რობინ ჰუდი" — კლორინდა

როდესაც მერი ერგნელის შემოქმედებაზე ლაპარაკობენ, მის ერთ მეტად საინტერესო თვისებასაც აღნიშნავენ: მერი ჩინებულად ხმარობდა სცენაზე კოსტუმს. ზოგჯერ თვითონ იკერავდა კიდეც. ბევრი ამ ფაქტს იმით ხსნიდა, რომ მერი ერგნელმა თავის დასთან ერთად (ცნობილი კინომსახიობი ნელი ხერხეულიძე) კარგი ოჯახური აღზრდა მიიღო, ქალიშვილები გაწაფულები იყვნენ ხელსაქმესა და ჭრა-კერვაში.

მერი ერგნელი, როგორც მსახიობი და მოქალაქე, არასოდეს მდგარა ჩვენი ცხოვრების მიღმა. იგი აქტიური საზოგადო მოღვაწეა და ყოველთვის არის იმ უბანზე, სადაც მისი ცოდნა და გამოცდილება გამოდგება. დიდი სამამულო ომის დროს მსახიობი აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში. მან თითქმის 250 კონცერტში მიიღო მონაწილეობა.. მერი ომისდროინდელ ამბავს იხსენებს.

იგი ჰოსპიტალში სასთუმალთან ეჯდა რუს ჯარისკაცს და ჩეხოვის მოთხრობას უკითხავდა. ჯარისკაცმა სთხოვა ფეხი გამისწორეო. მსახიობი მიხვდა, რომ ჯარისკაცს ორივე ფეხი მოკვეთილი ჰქონდა. მაგრამ მერის არც შეუმჩნევია, ისე განაგრძო კითხვა. მაშინ ჯარისკაცი ხელზე ემთხვია და მიმართა: „როგორი ჰუმანურები ხართ თქვენ, ქართველები".

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს მერი ერგნელის მოღვაწეობა. ახლახან მას რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

მერი ერგნელმა დიდი ხანია დატოვა თეატრი, მაგრამ თეატრში დარჩა მისი ფიქრები, ოცნებები, ალტაცება მოზარდი თაობით, რომელსაც ასე დაუზოგავად შეალია მთელი თავისი ნიჭი და უნარი.

**მაყვალა ცხომარია**



რუსთავის გზაზე



ავჭალის გზატკეცილთან



შინმოუსვლელთა პარკის შემოგარენი პეკინის ქუჩაზე

დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები

# რა სჯობია ამ სიხარულს

ამ შვიდ წელიწადში, დედაქალაქში ჩვენი ბავშვებისათვის ბევრი საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. პარტია და ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ულრუბლო ცა, მშვიდობა იყოს მთელ პლანეტაზე, რომ ბედნიერმა თაობამ, სიმართლის რწმენით გალიოს ცხოვრების გზა— ხვალინდელი დღე ეტალონი იყოს ზეგინდელისა.

„მოდით ამხანაგებო, ისე მოვიქცეთ, რომ რესპუბლიკის დედაქალაქი ყველაზე სწორი, ყველაზე რაციონალური და ოპტიმალური არქიტექტურული გადაწყვეტების თავისებური ეტალონი, სამშენებლო ხელოვნების ეტალონი, მწვანე მშენებლობის ეტალონი, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მაღალი კლასის მქონე თანამედროვე კეთილმოწყობილი ქალაქის ეტალონი გახდეს". თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ 1979 წლის 20 იანვარს თბილისის ოცდამეჩვიდმეტე პარტიულ კონფერენციაზე.

ეს სიტყვები უმალ აიტაცეს ქალაქის მესვეურებმა, 1979 წლის 16 მარტს სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო დადგენილება: „ქალაქ თბილისში მწვანე მშენებლობისა და მეყვავილეობის შემდგომი განვითარების შესახებ".

მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმო სამმართველოს უფროსს გურამ ბერიძეს მხარში ამოუდგნენ გამწვანების კანტორის უფროსები: ვახტანგ ნაფეტვარიძე, გივი გოლიგაშვილი, ოთარ უგულავა და ვახტანგ ჯანგულაშვილი. სასწრაფოდ შედგა პროექტები, ესკიზები.

თბილისში 102.700 კვადრატულ მეტრ მიწაზე მხოლოდ ბავშვებისათვის დაიგეგმა ოცდაოთხი სკვერის გაშენება. გეგმას საქმე მოჰყვა. თბილისელების ენთუზიაზმმა სასწაული მოახდინა. სულ რამდენიმე დღეში დედაქალაქში ბავშვებისათვის დაირგო 253-258 ძირი ხე და ბუჩქი, 163,600 ძირი ყვავილი. სულ რამდენიმე კვირაში გაშენდა და აუზებითა და შადრევნებით დამშვენდა ოცდაოთხი სკვერი, რომლებმაც უდიდესი სიხარული მოუტანა პატარებს. ჩვენ ვნახეთ ისინი სახეგაბრწყინებულნი და ბედნიერნი.

საქარხნო რაიონში ავტოსტრადისა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე, იქ სადაც რესტორანი „პეპელა" იდგა და გვიან ღამემდე ჩაის ჭიქების ჭახა-ჭუხი და ღრიანცელი ისმოდა, ახლა შადრევნები მოსჩქეფს. პატარები თევზებივით დასრიალებენ აუზებში და, შორს, ძალიან შორს ისმის მათი გულიანი, უდარდელი სიცილი...

— დედას გეფიცებით, მართალს გეუბნებით, დედიკომ სოფელში ორი დღით წამიყვანა, მესამე დღეს ჩამოვედი და აი, ასეთი ბაღი დამხვდა! გვეუბნება რუსთავის გზატკეცილთან ახლად გაშენებულ სკვერში, მერაბ იაშვილი და თან კრიალა თვალები უციმციმებს. მართლაც, მწვანე კორიდორს და ნაირფერ ყვავილებს ათასფრად მოუჩითავს მიწა. მიწიდან მოჩუხჩუხებს წყარო, წყაროსთან შექუჩულან თეთრიმაისურებიანი გოგო-ბიჭები, წუწაობენ და ცას სწვდება მათი კისკისი.

ავჭალის გზატკეცილთან, ქერჩის ქუჩის გასწვრივ დიდი პანო დგას, რომელზეც ლამაზი ასოებით არის გამოკვეთილი: „ვაშა! ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!" ძნელია უფრო ზუსტად გამოხატო დღეს ის განცდა, რაც გეუფლება. ეს შესანიშნავი სკვერი სულ ახლახან გაუშენებიათ. სკვერში ჩაუდგამთ პატარა ციხე-კოშკები, მოზაიკით მოჩუქურთმებული კალათები. კალათებში თავს იწონებენ ხასხასა ვარდები, კედლიდან პატარებს გადმოსცქერიან თოჯინები, დავლურს უვლიან სპილო, ვეფხვი, ლომი; სკვერი სავსეა ბავშვებით, ნორჩები პანია ხელებს გულზე იდებენ და გაისმის წკრიალა ხმები: „არჩევანი შენ, არადანი მე". მერე კისრისტეხით გარბიან ციხე-კოშკებისაკენ. სკვერში ცისფერ სკამებზე დედები ჩამომსხდარან და ტკბებიან შვილების ბედნიერებით.

თითქმის ყველა სკვერი სათითაოდ მოვინახულეთ. ყველგან იყო ბავშვების ჟრიამული, ყველგან ჩანდა მათი დიდი სიხარული... ბოლოს, ლეილა ბუკიას ბაღს ვეწვიეთ. ამ დიდებულ ქალზე და მის ბაღზე, არა-ერთი წერილი გამოქვეყნებულა პრესაში. თვითონ, ქალბატონ ლეილას მოთხოვნით, ახლა ბუკიას ბაღი შინმოუსვლელი პოეტების სახელობის გახდა, სწორედ, ამ ბაღის წინ ულამაზესი სკვერი გაუშენებიათ, აქაც ფეხად არ ეტევა პატარები, ზოგი საქანელაზე წამოსკუპულა, ზოგი ტიტლიკანა შესდგომია ქვემოდან შადრევანს და სიცილით იჭაჭება... ხარობენ ნორჩები, რა სჯობია ამ სიხარულს, ამ სიხარულში დაიზრდებიან ისინი, დაოჯახდებიან, ჯერ შვილებს მიიყვანენ სკვერში, მერე შვილიშვილებს სიამაყის გრძნობით უამბობენ თავიანთ წარსულზე, მამა-პაპის გმირობაზე და ვაჟკაცობაზე. მადლიერების გრძნობით მოიგონებენ იმ ადამიანებს, ვინც ღამე ათია მათზე ფიქრში, ვინც ბავშვთა წელს სულ რამდენიმე კვირაში გააშენა 24 შესანიშნავი სკვერი ნორჩებისათვის.

ვინც ყველაფერი გააკეთა, რათა ბედნიერი და ლაღი გაეხადა მათი ცხოვრება.

ოლია დადიანი



რესტორან „პეპელას" ადგილზე ასეთი სკვერი გაშენდა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# უ ჯ ა რ მ ა

თბილისიდან კახეთში, გომბორის უღელტეხილით მიმავალ გზატკეცილზე, საგარეჯოს რაიონის სოფელ უჯარმის მახლობლად, მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირას, მაღალ კლდოვან ბორცვზე აღმართულა ძველი ციხე-სიმაგრე შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქის ნანგრევები.

— „შემდგომად მირდატისა მეფობდა ძე მისი ასფაგურ და აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა". IV საუკუნეში, როდესაც მირონ მეფემ ტახტზე დასვა თავისი ძე რევი, უჯარმა მცხეთის გვერდით იხსენიება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უჯარმამ V საუკუნეში შეიძინა, ვახტანგ გორგასალის დროს, რომელმაც მეტად ინტენსიური საქმიანობა გააჩაღა ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ მხარეში. ეს გამოწვეული იყო შემდეგით: კახეთ-ჰერეთს უაღრესად დიდი სამეურნეო მნიშვნელობის გარდა ქართლის სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ეს განსაკუთრებით V საუკუნეში გამოჩნდა, როდესაც სასანური ირანის მოძალეობა ქართლის სამეფოს დამოუკიდებლობის დაკარგვას უქადდა. როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, ვახტანგ გორგასალი ცდილობდა ეს მხარე (კახეთ-ჰერეთი) გადაექცია საკუთარ ბაზად ამ მხარის ირანთან გარდაუვალი გადამწყვეტი ბრძოლის დროს. ამას ხელს უწყობდა ამ მხარის ეკონომიური სიმძლავრე და ისიც, რომ ხშირი ტყეების გამო შედარებით დაცული იყო შემოსევებისაგან. ამით განაპირობა ის, რომ „თუით ვახტანგ დაჯდა უჯარმასა და აღაშენა იგი ნაშენებითა უზიარა". სწორედ ვახტანგის მიერ აგებული ეს ციხე-სიმაგრის ნანგრევებია შემორჩენილი ამჟამად.

VI-VII საუკუნეებში უჯარმა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქია, შემდგომ კი იგი თანდათან კნინდება.

X საუკუნეში უჯარმა მხოლოდ ციხედ იხსენიება, რომელსაც 300 თავდადებული პატრიოტი იცავს არაბთა სარდლის აბულკასიმის მრავალრიცხოვანი ლაშქრისაგან. მიუხედავად ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემისა, უჯარმა მაინც დიდხანს რჩება საქართველოს სამეფო გვარეულობის საკუთრებად. XII საუკუნეში ციხე კვლავ აღუდგენია გიორგი III-ს და შიგ თავის განძთსაცავი აუგია. გვიანფეოდალურ ხანაში იგი ივრის ხეობის მძლავრ თავადებს—ჩოლოყაშვილებს ეკავათ, შემდეგ გაუდაბურებულა და მხოლოდ ვახტანგის მიერვე აგებული ეკლესიის ფართოდ ცნობილი ჯვარი პატიოსანის მლოცველები დადიოდნენ ამ ციხეში.

უჯარმის არქიტექტურული კომპლექსი ამჟამად შედარებით კარგად არის შემორჩენილი. იგი უაღრესად თავისებური ძეგლია ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა, რომელიც 1500 წელზე მეტია, რაც დგას, დგას როგორც მოწმე ქართული მაღალი ხუროთმოძღვრული ხელოვნებისა. მისადმი ინტერესი საკმაოდ დიდია.

ციხე-ქალაქ უჯარმის შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1950-52 წლებში წარმოებულ გათხრებს, რის შედეგადაც გაიწმინდა უჯარმის ძირითადი ნაწილი და გამოვლინდა ციხე-ქალაქის ნაგებობათა სისტემა, მისი მშენებლობის სამი ძირითადი პერიოდი.

დღეს უჯარმის არქიტექტურული ანსამბლი — შუა საუკუნეების ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, დიდი მზრუნველობით არის გარემოსილი.

ირაკლი ზაქარიაშვილი

შოლქი

# ნაყინი

„ყველას, ყველას გვიყვარს ნაყინი. აბა თუ არის ბავშვი, რომელსაც ნაყინი არ უყვარდეს! იგი ჩვენს მშობლებსაც უყვართ, ჩვენს ბებიებსაც და ბაბუებსაც. ჩვენ თუ გვკითხავთ, ტკბილეულობიდან ყველაზე გემრიელი ნაყინია. და გული გვწყდება, რატომ არ არის თბილისში ისეთი გემრიელი ნაყინი, როგორსაც მიირთმევენ ჩვენი მოსკოველი თანატოლები?"

სამართლიანი შეკითხვაა. დაგვაფიქრა თბილისელი ბავშვების ამ წერილმა და ვეწვიეთ თბილისის მეოთხე მაცივარს, რომელიც ჩვენი მოსახლეობისათვის ნაყინის ერთ-ერთი მომწოდებელია.

პირველივე საამქროში, სადაც მზა მასისაგან შოკოლადის ბატონებსა და ვაფლის ჭიქებიან ნაყინს ამზადებენ, შეუწყნარებელი ანტისანიტარია დაგვიხვდა. იატაკზე წყალი იდგა, რომელიც ქუჩაში დაგუბებულ ტბორებს მოგაგონებდათ. ადამიანები თითქოს მიჩვეულიყვნენ ამას და უკვირდათ კიდეც, რომ ჩვენ შეუწყნარებლად მიგვაჩნდა წყალში ტყაპა-ტყუპით სიარული.

არა, უკვირდათ კი არა, სხვა გზა არ ჰქონდათ არ შეგუებოდნენ, რადგან შემორჩნენ აქაურობას.

ვინც ვერ ეგუებოდა, ისინი ხომ მოდიოდნენ და მიდიოდნენ. იწყებდნენ სამუშაოს და სწრაფად ტოვებდნენ. გასაგებიც არის და სრულიად ბუნებრივიც: ძნელია მთელი დღე წყალში დგომა და ბავშვებისათვის ყველაზე სანუკვარი ნაყინის ასეთ პირობებში დამზადება.

რა არის ყოველივე ამის მიზეზი?

„ნაყინი მაინც იყიდება მილიონიან დედაქალაქში, როგორი სანიტარული წესების დაცვითაც არ უნდა დამზადდეს" — ფიქრობენ — საამქროებისა და მაცივრის მესვეურები. მათ მხოლოდ გეგმების შესრულება მიაჩნიათ აუცილებლად.

შინაურ სამზარეულოს ვინ ხედავს, რომელი მომხმარებელი? ის მხოლოდ შემოხსნის „ბატონჩიკს" ქაღალდს, მიირთმევს და შეიძლება მადლობასაც ამბობს გულში.

სწორედ „ბატონჩიკის" — ამ პოპულარული ნუგბარის დამზადებამ გაგვაოცა. საოცარი პრიმიტიული წესი, რომელიც ტექნიკის სრული გაფურჩქვნის ეპოქაში აქ ვნახეთ, დაუჯერებელიც კი იყო.



დანადგართან, სადაც მათი დამზადება ხდება, თავდაუხურავი და თმაგაწეწილი ორი შავხალათიანი (თეთრხალათიანის ნაცვლად) ახალგაზრდა ხელით (სწორედ რომ ხელით) იღებდა ერთად ასხმულ რამდენიმე მასას და შოკოლადში ავლებდა. შემდეგ კი მათ ხელითვე ფუთავდნენ ასევე მოუწესრიგებელი და მოუკოხტავებელი გოგონები.

ვინ იყვნენ ისინი?

საამქროს მუშახელი აკლია. ხალხი გარბის სამუშაოდან, ძლივს მოვახერხეთ პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეების მოყვანა, — გვითხრეს საამქროში.

ხვეწნით მოყვანილებიც გათავხედებულიყვნენ. ეს არც გასაკვირია: მათთვის ხომ არავის უთქვამს, თავზე „ჩაჩები" დაიხურეთ, უფრო სუფთა ხალათები ჩაიცვით, ნაკლებად იყაყანეთ და მთელი გულისყურით იმუშავეთო.

ქალაქში გაისმის უკმაყოფილება, მომხმარებლები აღნიშნავენ, რომ ხშირად ნაყინში ყინულებია, ნაყინი მლაშე გემოსია, შეჭყლეტილია და უფორმო.

ყველაფერი ეს ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის ბრალია. ახლაც ხომ მუშახელი არ აკლიათ? არა, ახლა უპასუხისმგებლობასთან გვაქვს საქმე.

ვაფლის საამქროში, სადაც რეკონსტრუქცია ახალი ჩატარებულია, აუტანელი სიცხეა. სიცხე კი გულისწასვლამდე აწუხებს ადამიანს. ვენტილაცია და გამწოვები ცუდად მუშაობენ. აქაც ყველაფერი გამძლეობაზეა. ვისაც მუშაობა სურს, უნდა აიტანოს — ასეთია რკინის კანონი მეოთხე მაცივრის ნაყინის ფაბრიკაში.

ეს ფაბრიკა ფონიჭალაში მდებარეობს, თბილისიდან კარგა მოშორებით. მუშა-მოსამსახურეებისათვის საგანგებო ტრანსპორტი არ მუშაობს. დედაქალაქის მცხოვრებლები აქ (ვისაც საკუთარი მანქანა არა აქვს) დიდი წვალებით დადიან, მერე კი თავს ანებებენ სამუშაოს. რუსთაველები უფრო ახერხებენ ჩამოსვლას, შედარებით ახლოს ცხოვრობენ, მაგრამ მათაც უჭირთ ამ ძნელ პირობებში მუშაობა.

— ერთი საცხოვრებელი სახლი მაინც რომ გვქონდეს მუშებისათვის, მაშინ უკეთ ვიმუშავებდით. — ამბობენ ფაბრიკაში.

ესეც რა თქმა უნდა, სჭირდებათ მუშებს, მაგრამ ვინ არის სახლის ამშენებელი?

არავინ!

ცხელა სამხრეთის დედაქალაქში — თბილისში, სადაც სავალალოდ ყოველგვარ პირობებში (საბედნიეროდ, ამ პირობებს მომხმარებელი ვერ ხედავს) დამზადებული ნაყინი იყიდება. ის კი არა, ზოგჯერ ვერც იშოვი.

თბილისს ნაყინი არ ჰყოფნის და სხვა ქალაქებიდანაც შემოაქვთ. (სხვათაშორის, ქუთაისიდან შემოტანილი ბრიკეტებიანი ნაყინი უკეთესია).

მომხმარებლებს ნაყინის ყიდვისას ის აწუხებთ, რომ გამყიდველი ფულსაც და პროდუქტსაც ერთიდაიმავე ხელით იღ-





ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს. აუცილებელია, რომ ჭიქიანი ნაყინი შეფუთული იყოს.

რატომ ამაზე არ დაფიქრებულან დამამზადებლები?

დასაფიქრებელი კი მათ საკმაოზე ბევრი აქვთ. მარტო ცდა და ოცნება, თუ როდის ექნებათ შვედური ავტომატური დანადგარი, ეს უზარმაზარი კონვეიერი, რომელიც მხოლოდ ოთხი ადამიანის დახმარებით ცვლაში შვიდ ტონა გემრიელ ფაფუკ და ჰაეროვან ნაყინს გამოუშვებს, დღეს ვის რაში სჭირდება?

ოცნება შეიძლება ახდეს მომავალში, მაგრამ აწმყოში რა კეთდება?

...და კიდევ ერთი ფრაზა ბავშვების წერილიდან:

„გთხოვთ გვიამბოთ, როგორ ამზადებენ ნაყინს მოსკოვში?"

ვასრულებთ ამ თხოვნას. მოსკოვის მერვე მაცივარში სწორედ ის შვედური დანადგარებია, რომლებზეც თბილისის მეოთხე მაცივარში ოცნებობენ.

მოსკოვის მერვე მაცივარში რომ შეხვალთ, იქ, სადაც ნაყინის მასა მზადდება, თქვენს თვალწინ უზარმაზარი ტბა გადაიშლება, რომელშიც ვაჟინისა და რძის მდინარეები ჩადის. იგი ღელავს უზარმაზარი ამრევის საშუალებით და თანდათანობით მზადდება უგემრიელესი კრემი — მასა. შემდეგ იგი „მოგზაურობს" მილების საშუალებით და სასურველ ფორმას იღებს. მთელი ეს პროცესი ავტომატიზებულია და იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ნაყინი მზადდება. ზოგან ესკიმო გადმოდის დანადგარიდან, ზოგან ვაფლის ბრიკეტები, ზოგან ვაფლის ჭიქები, ზოგან მუყაოს ჭიქები, ზოგან ნიგვზიანი, ზოგან უნიგვზო ნაყინი, — ყველაფერი ქაღალდებში იხვევა და კონვეიერისკენ მიედინება. ყოველ ცვლაში ათი ასორტიმენტის ნაყინი მზადდება, იცვლება ცვლა და ასორტიმენტიც იცვლება.

დღეღამეში მოსკოვის მერვე მაცივარში სხვადასხვა დასახელების 140 ტონა ნაყინს ამზადებენ. ეს კი ზღვარი როდია. ამუშავებენ სულ ახალ და ახალ რეცეპტურებს დღემდე უცნობი სახეობების დასამზადებლად, მაგალითად, „ოლიმპიადა 80-ისათვის" სამი ახალი სახის ნაყინს გამოუშვებენ.

მოსკოვის მერვე მაცივრის ნაყინის ფაბრიკაში სამი ცვლაა. ნაყინს მხოლოდ ორი ცვლა ამზადებს. ღამით კი, მესამე ცვლაში, მთელი ეს სამანქანო მოწყობილობა იწმინდება და სანიტარულად მუშავდება.

საამქროების სისუფთავეს და პროდუქციის ხარისხს მკაცრ კონტროლს უწევენ ქიმიური და ბაქტეორიოლოგიური ლაბორატორიები.

გამოხვალთ ფაბრიკიდან და უთუოდ მოგესურვებათ იქ დამზადებული ნაყინის ყიდვა. მიხვალთ უახლოეს კიოსკთან, იყიდით და გემრიელად შეექცევით.

**ლია ნინიძე**

# ჩვენი ოქროს გოგონები

**მოსკოვში დამთავრდა უდიდესი სპორტული ფორუმი — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა, რომელშიც საქართველოს ნარგზავნილებმა მოიხვეჭეს საკმაო რაოდენობის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. ოქროს ლაურეატებს შორის იყვნენ ირინე გაბაშვილი, ლიანა ცოტაძე და საიდა გუნბა.**

ლონდონში, სახელგანთქმულ „უქმბლის" სპორტული სასახლის სარბიელზე უჩვეულო რამ მოხდა: მხატვრულ ტანვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითს დღეს გამარჯვებულთა კვარცხლბეკის სამივე საფეხური საბჭოთა სპორტსმენებმა დაიკავეს — კიეველმა ირინე დერიუგინამ, ვოლგოგრადელმა ელენე ტომასმა და თბილისელმა ირინე გაბაშვილმა. ეს იყო საბჭოთა ტანვარჯიშული სკოლის სრული ტრიუმფი, რომლის ერთერთი ავტორი ქართველი გოგონა გახლდათ. ჩვენი სპორტსმენები აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებით არ დაკმაყოფილდნენ და ბრწყინვალედ იასპარეზეს ცალკეულ სახეობებშიც. ირინე გაბაშვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა ბურთით ვარჯიშში. ქართველ გოგონას პრესამ აღტაცებით აღსავსე სტრიქონები უძღვნა — იფნის ტოტივით მოქნილი, უაღრესად მოხდენილი, აღმოსავლური ზღაპარივით მომაჯადოებელი უწოდა მის გამოსვლას.

ლონდონის ტრიუმფატორებს შინისკენ მიუწევდათ გული. სამშობლოში, მის მთავარ ქალაქში — მოსკოვში სტარტს იღებდა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა და აქ მათ თავიანთი რესპუბლიკების სპორტული სახელი უნდა დაეცვათ. ირინე გაბაშვილი საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ლიდერი გახლდათ და მოსკოვის ასპარეზობაში უნდა დაემტკიცებინა თავისი სიძლიერე. იგი ხომ მსოფლიო ჩემპიონი იყო და უკან დასახევი გზა უკვე არ ჰქონდა.

...სასპარტაკიადო მოსკოვის ახალთახალი სპორტული კომპლექსის ფიცარნაგზე მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებს შეჯიბრების დაწყების ნიშანი მისცეს. ათასობით სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში, რასაკვირველია, ლონდონის მსოფლიო პირველობის გმირები ირინე დერიუგინა, ელენე ტომასი და ჩვენი ირინე გაბაშვილი გახლდათ, და მართლაც, ამ შესანიშნავ სამეულს შორის გაჩაღდა ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონობისთვის ბრძოლა. შეუდარებელი იყო ამ დღეს ირინე გაბაშვილი. ჯერ იყო და, აბსოლუტურ პირველობაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, შემდეგ ბურთითა და ლენტით ვარჯიშში საგრძნობლად აჯობა ტიტულოვან მეტოქეებს და ოქროს მედლებით დაიმშვენა მკერდი. ირინემ ამ სპორტულ ნადავლს ორი ვერცხლის მედალიც დაუმატა და სსრ კავშირის ჩემპიონატის ჯილდოების მფლობელიც გახდა. ეს უკვე დიდი გამარჯვება იყო, რომლის მსგავსი ქართულ მხატვრულ ტანვარჯიშს არ ახსოვდა.

როგორც ქალთა დიდი შეჯიბრებების დროს ხდება ხოლმე, ახლაც უცხოელმა და საბჭოთა ჟურნალისტებმა ირინეს კიდევ ერთი დიდი ჯილდო „მისს სპარტაკიადის" წოდება მიანიჭეს. ამ დღეს ყველაზე ბედნიერი ქართველი გოგონას გულში ასეთი მოზღვავებული სიხარული ვერ დაიტია და ცრემლი მოადგა თვალზე.

რატომ ტიროდა ირინე? შეიძლება გაიხსენა, თუ რა მოკრძალებით შეაღო სპორტული დარბაზის კარი, როცა პირველ საწვრთნელ ვარჯიშზე მივიდა, შეიძლება ისიც იყო მიზეზი, რომ ბურთითა და ლენტით ვარჯიშები, რომლებმაც მას სპარტაკიადის „ოქრო" მოუტანა, მისმა სათაყვანო მწვრთნელმა ნელი სალაძემ ვერ იხილა. იგი ამ დროს ზურგით იდგა და მაყურებელთა რეაქციით აღიქვამდა მისი მოწაფის გამოსვლის ყოველ ილეთს. ეს იმიტომ კი არა, რომ ნელი სალაძე არ ელოდა შეგირდის ასეთ დიდ წარმატებას, არა, მას სწამდა, რომ ირინე გაიმარჯვებდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო გაბაშვილის ვარჯიშების ნახვა. არადა, შეჯიბრების დროს რამდენჯერ მიაპყრო მზერა ქართველმა გოგონამ მისკენ ზურგშექცეულ აღმზრდელს. არც სწყენია, იცოდა მისი ხასიათი, იცოდა, თუ რა ძნელია იყო ასე განმარტოებით, როცა შენი ნაამაგარი სარბიელზეა და საქვეყნოდ აღიარებულ ოსტატებს ეპაექრება.

იგი მაინც გრძნობდა, რომ ნელი სალაძე მასთან, მის გვერდით იდგა, თითქოს ყურში ჩასძახოდა: აი, ახლა ეს ილეთი გააკეთე, უფრო სწრაფად, უფრო მოხდენილადო. თითქოს ესმოდა მისკენ ზურგშექცეული აღმზრდელის სიტყვები, გრძნობდა მის უჩვეულო სითბოს და ამიტომაც ირინე იმ საღამოს რაღაც განუმეორებელი, ზღაპრული ფერიასავით კეკლუცი, ჰაეროვანი იყო.

ნელი სალაძე მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა დარბაზი მქუხარე ოვაციამ შეძრა. მხოლოდ მაშინ მოვიდა შენთან, ჩაგეხვია, ჩაგკოცნა. ორივეს ცრემლებით აგევსოთ თვალი და მხოლოდ ის მოახერხე, რომ შენთვის მორთმეული მიხაკები სათაყვანო ადამიანს მიართვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

— სენსაცია! — ასე უწოდეს წყალში ხტომის სპეციალისტებმა ლიანა ცოტაძის გამოსვლას სასპარტაკიადო შეჯიბრებაში. მართლაც უჩვეულო რამ იყო: ქართველმა გოგონამ აჯობა თვით ირინე კალინინას, სამგზის მსოფლიო ჩემპიონს, სხვა ცნობილ ოსტატებს და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში. როცა წინასწარი შეჯიბრების შემდეგ ლიანა ცოტაძე ფინალისტთა ჯგუფში გავიდა, ეს ამბავი არავის გაჰკვირვებია. იგი ხომ ასპარეზობის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. თუმცა სპარტაკიადის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს უმიზნებდნენ მასზე გამოცდილი ოსტატები — სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ირინე კალინინა, მონრიალის ოლიმპიადის ჩემპიონი ელენე ვაიცეხოვსკაია და სხვები.

ფინალურ დუელს ირინე კალინინა ჩაუდგა სათავეში, მაგრამ ცოტა ხნით, ორი ვარჯიშის შემდეგ ახლა ლიანა დაწინაურდა, მაგრამ უკანასკნელი ნახტომის წინ ლიდერებს სულ ცოტა აშორებდათ ერთმანეთს და ბოლო ნახტომზე იყო ყველაფერი დამოკიდებული. აქ კი მართლაც შესანიშნავად გამოვიდა ლიანა ცოტაძე, ისე, რომ მრავალრიცხოვანი მაყურებელი მქუხარე ოვაციით შეეგება მისი ბოლო ვარჯიშის დამთავრებას. ეს უკვე გამარჯვებას, სპარტაკიადის ჩემპიონობას ნიშნავდა, რასაც ათეული წლების მანძილზე ასე მოუთმენლად ელოდნენ ქართველი სპორტის გულშემატკივრები — ლიანა ცოტაძე ხომ პირველი ქართველი გოგონა იყო, ვინც სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა ამ სახეობის სპორტში.

* * *

ვინ იფიქრებდა, რომ ბიჭვინთელი ქალიშვილი საიდა გუნბა საქვეყნოდ ცნობილი მძლეოსანი გახდებოდა. ბავშვობაში იგი ქორეოგრაფიით იყო გატაცებული, მოცეკვავის პროფესიაზე ოცნებობდა, მაგრამ ერთხელ სასკოლო შეჯიბრების დროს იგი მძლეოსნობის მწვრთნელმა ა. კარაკიანმა ნახა და ხელი მოჰკიდა მის აღზრდას. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მის წვრთნას ცნობილი სპეციალისტი ი. გიგაური ხელმძღვანელობდა და სწორედ აქედან დაიწყო საიდას ტრიუმფალური სვლა მძლეოსნურ სექტორებზე. ჯერ იყო და, შარშან თბილისში გამართულ მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატში იგი პირველი იყო შუბის ტყორცნაში, შემდეგ ორჯერ გამარჯვება არავის არ დაუთმო დიდ ასპარეზობაში და ბოლოს სსრ კავშირის VII .სპარტაკიადაშიც ისახელა თავი, როცა მის მიერ ნატყორცნი შუბი ყველაზე შორს — 63,08 მეტრზე დაეცა და ოქროს მედალი მოუხვეჭა საიდა გუნბას.

**ზ. ჯანდიერი**



ირინე გაბაშვილი



საიდა გუნბა





ლიანა ცოტაძე

ა. საკოვის ფოტო

...რასის საქ. ს...
...სახელმწიფო
...ბლ...კური

ეროვნული ბიბლიოთეკა




ოსტრავაში საბავშვო ბაღს ტარიელ ქურხულის სახელი ეწოდა.

# როცა ხეებს ფოთლები სცვივა

„თქვენს პატარა ბაღში საოცრად ყვავის ათასფერადი ვარდები. წვიმის წვეთები მათ ლამაზ ფოთლებს ცრემლებად ელვენთება. მერე ეს წვეთები მოკრძალებით ეცემა იმ სურნელოვან მიწას, რომელსაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ტარიელ ქურხულის ბავშვური ნაფეხურები აჩნდა. ეს ნაფეხურები არასოდეს წაიშლება. გმირობა ხომ უკვდავია! გმირის აკვნის დამრწევის ცხოვრება სამაგალითო და სასახელოა“.

ეს სტრიქონები ოჯახის ალბომში ნინო ბალანჩივაძემ, გიული ამირხანოვამ, ნანა ეხვაიამ 1979 წლის 9 მაისს ჩაწერეს.

კიბალჩიჩის აღმართზე, ორხევის შესახვევში ძველ თბილისურ სახლში სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნინო მათიაშვილი ცხოვრობს. მოძმე ხალხის— ჩეხოსლოვაკიის ფაშისტ დამპყრობთაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაეცა ნინოს ვაჟი — კომკავშირელი ლეიტენანტი ტარიელ ქურხული. იგი გრიგალებიან დიდ გზას გაუდგა და ფაშიზმზე გამარჯვების ზეიმზე ორი კვირით ადრე მტრის ტყვიამ განგმირა. ტარიელი საძმო საფლავში განისვენებს. ქალაქ გლუჩინში მან სამუდამო ბინა ჰპოვა. ასე ადრე ჩაქრა მისი სიცოცხლე და დედამ ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი რამ დაკარგა.

მაგიდაზე დასტა წერილები, ღია ბარათები, ოთახში სამახსოვრო ნივთები აწყვია. კედელზე დადუმებული ვიოლინო ჰკიდია. აქ ყველაფერი მხოლოდდამხოლოდ შვილის სახელთან არის დაკავშირებული.

ნინო მათიაშვილი მეგობრობს ჩეხ ხალხს, ქვეყანას, რომელიც ტარიელის მეორე სამშობლო გახდა. ნინო შვებულებას ყოველწლიურად შვილთან სიახლოვეში ატარებს. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილეა. ნინო დააბიჯებს ჩეხეთის მიწა-წყალზე და გულით დააქვს დედის დარდი, მაგრამ მძლავრობს მისი გაუტეხელი ნებისყოფა.

ნინო მათიაშვილი ქალაქების ოპავისა და გლუჩინის საპატიო მოქალაქეა. 1962 წლიდან ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის წევრია. ჯილდოდ მიღებულ მედლებსა და საპატიო სიგელებს ხომ თვლა არა აქვს.

ქალაქ ოპავის მანქანათმშენებელი ქარხნის „ოსტროის“ სოციალისტური შრომის ერთ-ერთი საუკეთესო ბრიგადა ტარიელ ქურხულის სახელობისაა, ხოლო ნინო 1972 წლიდან „ოსტროის“ საპატიო მუშაკია. მიხალკოვიცელმა პიონერებმა თავიანთ რაზმეულს ტარიელ ქურხულის სახელი მიანიჭეს.

ნინომ საბჭოთა მთავრობის ნებართვით თავისი პირადი დანაზოგიდან ხუთი ათასი მანეთი მოძმე ხალხს გადასცა საჩუქრად. ამ თანხით შეიძინეს მოწყობილობა ახალი საბავშვო ბაღისა, რომელიც ქალაქ ოსტრავაში გაიხსნა და ტარიელ ქურხულის სახელი ეწოდა.

საბავშვო ბაღის გახსნის დღეს ნინო ოსტრავაში მიიწვიეს. ქალაქების — გლუჩინის, მიხალკოვიცეს და ოსტრავის ქარხნებისა და ეროვნული კომიტეტის წარმომადგენლები, მუშები, მასწავლებლები, პიონერები ზეიმზე შეიკრიბნენ. ნინომ ხუთი წლის ტარიელის სურათი თან წაიღო. საბავშვო ბაღში გამართულ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა: „ასეთი იყო ჩემი შვილი, როცა მან პირველად მშობლებთან ერთად ამ მიწაზე ფეხი შემოდგა. ახლა კი მას თქვენს ქვეყანაში 50 წელი უსრულდება. ფრონტიდან გამოგზავნილ წერილებში ტარიელი წერდა, ძალზე მომწონს ჩეხოსლოვაკიაო. და აი ბედმა სამუდამოდ არგუნა აქ დარჩენა“.

ტარიელის საფლავზე იმ დღეს გვირგვინებისა და ყვავილების მთა აღიმართა. რადიოთი და ტელევიზიით გადასცეს ტარიელ ქურხულის სახელობის საბავშვო ბაღის გახსნის ამბავი. გაზეთებში დაიბეჭდა წერილები, გამოქვეყნდა ტარიელისა და ნინოს ფოტოსურათები.

ტარიელ ქურხულის სახელობის საბავშვო ბაღის გამგეს დაგმარ კანოვას მიმოწერა აქვს ნინოსთან. საბავშვო ბაღის კოლექტივი — პედაგოგები და ბავშვები ხშირად მიდიან გლუჩინში და თაიგულებით, ყვავილებით ამკობენ გმირის საფლავს, იღებენ ფოტოსურათებს.

ყველაზე სასურველი სტუმარი ნინოსათვის ფოსტალიონია. ჩეხი მეგობრები მას არ ივიწყებენ და წერილებს, ფოტოსურა-

თებს, სამახსოვრო საჩუქრებს უგზავნიან, დაწვრილებით მოუთხრობენ ყველაფერს, რაც ტარიელს შეეხება.

ნინოს დაგმარ კანოვამ წერილი მოსწერა, ატყობინებდა, ოსტრავაში პედაგოგთა ჯგუფი ჩამოვიდა თბილისიდან, იყვნენ ტარიელ ქურხულის სახელობის საბავშვო ბაღში, კმაყოფილები წავიდნენ და ასეთი ჩანაწერი დაგვიტოვესო: „ქ. თბილისის პედაგოგთა ჯგუფმა ვინახულეთ ჩვენი მიწაწყლის სახელოვანი შვილის — ტარიელ ქურხულის სახელობის საბავშვო ბაღი. სამსართულიანი მშვენიერი შენობა, კოხტად მოწყობილი ოთახები, მომხიბლავი 50 აღსაზრდელი და აღმზრდელი პედაგოგები. გვეამაყება ტარიელის დედის — ნინო მათიაშვილი-ქურხულის ძლიერი ხასიათი, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა“.

თბილისის კალინინის რაიონის პედაგოგები სამოგზაუროდ ჩეხოსლოვაკიაში იყვნენ. ისინი ტარიელ ქურხულის სახელობის საბავშვო ბაღს ეწვივნენ. საბავშვო ბაღის გამგემ დაგმარ კანოვამ მათ თვითნაკეთი სუვენირი, კერამიკული „მზესუმზირა“ მიართვა სიმბოლოდ იმისა, რომ ქვეყნად მუდამ იყოს მზე და მშვიდობა. დაგმარამ პედაგოგებს სთხოვა „მზესუმზირა“ თბილისში რომელიმე საბავშვო ბაღისათვის გადაეცათ. საჩუქარი კალინინის რაიონის მე-14 საბავშვო ბაღს ხვდა წილად და იგი ბაღის გამგემ ნ. კეპულაძემ ჩაიბარა.

ჩეხური მარადმზისფერი კერამიკული მზესუმზირა თბილისის საბავშვო ბაღის ინტერნაციონალურ კუთხეს ამშვენებს. ამ კერამიკულ ნამუშევარს მოკრძალებით ეკიდებიან აღსაზრდელები. ბაფთიანი ცეროდენა გოგონები და პატარა ბიჭუნები მღერიან მაყვალა მრევლიშვილის ლექსის სტრიქონებს: „მზესუმზირამ მზეს უმზირა, საით მიხვალ მზეო...“ ბავშვებს ეამაყებათ, რომ შორეული ქვეყნის საბავშვო ბაღისაგან, იმ ბაღისაგან, რომელიც ტარიელ ქურხულის სახელობისაა, საჩუქარი მიიღეს და ასე დაიწყო ორი ქვეყნის ორი საბავშვო ბაღის მეგობრობა.

ვათვალიერებ ნინო მათიაშვილის მისამართით საქართველოში გამოგზავნილ წერილებს: „მე მიყვარს ის ქვეყანა, სადაც ტარიელი დაიბადა და აღიზარდა. მთელი კლასი წავედით მის საფლავზე გლუჩინში. მოსწავლეებმა ფერად-ფერადი ყვავილები მივიტანეთ. ევა მინარჟი“.

„გმადლობთ საჩუქრებისათვის, რომლებიც ბავშვებმა მიიღეს. ბავშვები ხშირად გიგონებენ. 21 მარტს, ტარიელის დაბადების დღეს ბაღის აღსაზრდელები და მთელი კოლექტივი ვიყავით გლუჩინში, ვინახულეთ ტარიელის საფლავი, ჩვენთან ერთად ოსტრავის პრესის რეპორტიორი იყო. გიგზავნით „ოსტრავსკი ვეჩერნიკის“ ნომერს, სადაც ტარიელის შესახებ წერილი და ფოტო მოათავსეს. დაგმარა კანოვა“.

„ხშირად გიგონებთ. ტარიელ ქურხულის სახელობის სოციალისტური შრომის ბრიგადა კარგ მაჩვენებლებს აღწევს. ძალზე გაგვახარეთ საინტერესო საჩუქრით — საქართველოს ფერადი ალბომით. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მომხიბლავმა მხარემ. რა კარგად არის ალბომში წარმოდგენილი თქვენი სამშობლოს დიდებული ისტორია, მდიდარი კულტურა, სახელგანთქმული სანახები. თქვენი წერილი ბრიგადის წევრებს გავაცანი. და ერთად შევკრიბეთ, სპეციალური ვიტრინა მოვაწყეთ, რომ მუშებმა ნახონ ჩვენი მეგობრობის უტყუარი საბუთი, სამახსოვრო სუვენირები. ვლადიმერ მინარჟი“.

ოქტომბერია. ხეებს ფოთლები სცვივა და ქრის ქარი წანწალა. გლუჩინში ტარიელ ქურხულის მემორიალურ დაფასთან დგანან ბავშვები, კითხულობენ ლექსებს, მღერიან სიმღერებს საბჭოთა ქვეყანაზე... ოქტომბერში ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ზეიმი აქვთ და ტარიელ ქურხული ხომ მათი გმირია. მათ იციან, რომ გმირები თაობათა სიცოცხლისათვის, თაობათა ბედნიერებისათვის იხოცებიან. ეს არის მათი ამაღლებული სული და ძლიერება.

ნინომ თავისი ეზოს დაფნის რტოები გლუჩინში წაიღო. იქ ტარიელისათვის გვირგვინი დაამზადა. მასთან ერთად იყვნენ ჩეხი მეგობრები, რომლებიც ესოდენ ამაღლებულად სცემდნენ პატივს ტარიელის უკვდავ სახელს, მის ხსოვნას.

ბაღის აღსაზრდელებს ნინომ ქართული ჩურჩხელები, ჩირი, საწუწკარი მიართვა. სადილობდნენ პატარები. გოგონა თითქოს გაიბუტა და მიწოდებულ ტკბილეულს ხელი არ ახლო. ვერ გაიგეს, რამ შეაწუხა ბავშვი. ბოლოს მასწავლებელს ყურში ჩასჩურჩულა: „ნინიკოს ვაკოცებო“ და ნინო ბებოსთან მიირბინა. ამით მან ბავშვების მადლობა გამოხატა.

ვინ იცის, თვალცრემლიანი ნინო მერამდენედ კითხულობს შვილის უკანასკნელ წერილს: „აი ახლა ვზივარ ლამაზ ფიჭვნარ ტყეში, ჩეხეთის მიწა-წყალზე. ბუნება მშვენიერია, საქართველოს მოგაგონებს. ჩიტებს ისეთი ჟრიამული გააქვთ, ხანდახან მართლაც მავიწყდება, რომ იარაღმომარჯვებული ვიბრძვი და ფიქრებით ჩემს ვიოლინოზე აჟღერებული ბგერებით ტყის წარმტაც მუსიკას ვუერთდები. აქ ყოფნა მოსაწყენი არ არის, მართლაც რომ კარგია“.

გახუნებულა ძველი თბილისური სახლის კედლები. წინათ ახმიანებული ოჯახი თითქოსდა ჩამქრალა. თმაშევერცხლილი, თვალებში ღრმასევდაჩამდგარი დედა სათუთად ხელს ახებს წერილებს, სურათებს, ყველაფერს, რასაც შვილის — ტარიელ ქურხულის სახელი ჰქვია. კედლიდან ჭაბუკის ღიმილი იფრქვევა, სურათის გვერდით კი 33 წელია დადუმებული ვიოლინო უქმად ჰკიდია.

ნინოს გულისთქმა ყოველთვის ტარიელია, და მისთვის მნიშვნელობა არა აქვს დარსა და ავდარს — ნუში ყვავილობს თუ ხეებს ფოთლები სცვივათ, მას მუდამ დედაშვილობა უხმობს, ეძახის და უკვე მერამდენედ... მიიჩქარის, ჩეხოსლოვაკიაში მეგობარ ხალხთან შესახვედრად მიემგზავრება.

ძალა და ღონე არ მოგკლებოდეს, დიდსულოვანო დედავ!

ეთერ ჯაფარიძე



ტარიელ ქურხულის საფლავთან

# აჯანყებული სინდისი

დიდი ქალაქის ფართო ქუჩები წაულეკავს აღშფოთებული ხალხის ზღვას, ტალღასავით ირხევა მუშტებად აღმართული ხელების ტყე, ბოლო არ უჩანს ტრანსპარანტებს: „ძირს მასობრივი მოსპობის იარაღი!“, „შეაჩერეთ გამალებული შეიარაღება!“ „ძირს „ნატო“!... ფართოსათვალიანი, ოდნავ გამხდარი, მაღალი ტანის, ახალგაზრდობის დასასრულისა და სიჭარმაგის ზღურბლზე მდგომი სიმპათიური გარეგნობის ქალი მდუმარედ უცქერის დემონსტრაციას. შემდეგ ბავშვიან ქალს ეკითხება: — „რა გსურთ, რისთვის და ვისი სახელით იბრძვით, რისთვის?“ დედის თვალებში ზიზღნარევი გაოცება იბადება: — დედამიწაზე სიცოცხლისათვის!..

თორმეტ წელს უყურებდა ასეთ სცენებს ურზელა ლორენცენი, ნატოს ადმინისტრაციული საბჭოს დირექტორატის თანამშრომელი... მთელი ამ პერიოდის მანძილზე მის გულში მწიფდებოდა კონფლიქტი საკუთარ თავთან, ჯანყი გამოფხიზლებულ სინდისთან. ადვილი როდი იყო მყარად ჩამოყალიბებული რწმენის დაძლევა, ბავშვობიდანვე ჭარბად მიღებული „ანტისოვეტიზმის მიკრობთა ძოცილება“... მაგრამ ცხოვრების სიმართლე ჯიუტი აღმოჩნდა, სწორედ ამ სიმართლემ შეაჯახა იგი ადამიანურ სინდისს და უბიძგა გაეკეთებინა სწორი არჩევანი.

ურზელა ლორენცენის პირადი ცხოვრების საწყისი ტრაგედია და შემდგომი ამაღლება — კერძო შემთხვევა როდია. ამ ტიპობრივი ფაქტით კარგად აისახა „თავისუფალი დასავლეთის“ აქტიური გამოფხიზლების ჯანსაღი მიმართულება; „ვულკანზე მჯდომი“ ადამიანების დაეჭვება საკუთარი ქმედების მორალური საყრდენების მიმართ. ადრე დაწყებულ პროცესს ბოლო წლებში ახალი თვისობრივი სიმაღლე მიემატა...

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე რეაქტიული მილიტარისტული ბლოკი — „ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი (ნატო), კარგა ხანია უკვე ღრმა პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. თავის დროზე მას მძლავრი დარტყმა მიაყენა საფრანგეთის პოზიციამ, მოგვიანებით — თურქეთ-საბერძნეთის კონფლიქტმა. ამ აგრესიული დაჯგუფების სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრთა კინაღამ მთლიანად მოიშალა. პორტუგალიის დემოკრატიზაციამ კი მისი სიმყარე საერთოდ საეჭვო გახადა. ძირითადი კი მაინც ის არის, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში უკვე დრო მოჭამა დემაგოგიურმა თეზისმა „საბჭოთა მუქარის“ შესახებ, რაც დიდხანს იყო ნატოს იდეოლოგიური საფუძველი.

დღეს ამ ანაქრონისტული კავშირის მიმართ ე. წ. „გამოფხიზლების“, „სინდისის გაღვიძების“ ისეთი შეუჩერებელი ტენდენცია განვითარდა, რომ უზარმაზარი ჰონორარის ფასადაც კი ჭირს ნატოს სხვადასხვა უწყებების დაკომპლექტება. პატიოსანი, კეთილი ნების ადამიანები „ჭირის დღესავით“ გაურბიან „შავი სატანის მსახურ სამხედრო მანქანასთან“ ყოველგვარ კონტაქტს. სწორედ ასეთი მორალურ-ფსიქოლოგიური შეუთავსებლობის მაგალითია „ურზელა ლორენცენის საქმეც“. მილიტარისტული ბოდვით სულით ხორცამდე შეძრწუნებულმა, დროებით მოტყუებულმა, მაგრამ შინაგანად პატიოსანმა ადამიანმა გაარღვია დემაგოგიური წყვდიადი და ნამდვილი მოქალაქის ადგილი იპოვა. მან კავშირი გაწყვიტა ნატოს უმაღლესი ადმინისტრაციული საბჭოს დირექტორატთან და ა. წ. მარტში ბრიუსელიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადასახლდა.

დღეს ქალბატონი ურზელა ლორენცენი დაუნდობლად ამხილებს გამალებული შეიარაღების ნამდვილ არსს, დაძაბულობის რეალურ მიზეზს.

საგანგაშოა და დამაფიქრებელი დასავლეთ ევროპაში ინტენსიურად მიმდინარე „ატომური სამხედრო სწავლება“, რომელიც მსოფლიო ომის რეპეტიციაა. და იმიტომ როდია დამაფიქრებელი, რომ მათი აღკვეთა შეუძლებელია და კატასტროფაც გარდაუვალი. არა, ჩვენ გვწამს, რომ მშვიდობის ძალები მოახერხებენ „დამამშვიდებელი პერანგი ჩააცვან ნატოელ და სხვა თავიანთ პარტნიორ მანიაკ გენერლებს. მიუღებელი და განსაცვიფრებელი სხვა რამეა: კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის პრობლემით ცინიკური თამაში, დასავლეთ გერმანიის ჩრდილოეთ ნაწილის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი აღმოსავლელი მეზობლების ტერიტორიების სრული გადაბუგვის გულგრილი დაპროგრამება, სამხედრო თვალსაზრისით „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ ურთიერთბალანსირების გაყალბებული „ათვლების“ საფუძველზე ნატოს ბიუჯეტის ყოველწლიურად 80 მილიარდი დოლარით ზრდა, სოციალისტურ ქვეყნებში ძირგამომთხრელი საქმიანობის დაფინანსება, მასობრივი მოსპობის საშუალებათა დაგროვებისადმი სწრაფვა და ა. შ.

ქალბატონ ურზელა ლორენცენის პოზიციით გაშმაგებული ყვითელი პრესა ათასგვარ ჭორს ავრცელებს ნატოს შტაბბინაში. კომუნისტების პროვოკაციული შეჭრის შესახებ. დასავლური მილიტარისტები კვლავ ცდილობენ ნატო არსებული საბჭოთა მუქარის შემაკავებელ ჰუმანურ ორგანიზაციად დასახონ. მაგრამ გამოფხიზლებული სინდისის ჯანყის შეჩერება უკვე შეუძლებელია. ქალბატონი ურზელა ლორენცენი მარტო აღარ არის. ჩვენი პლანეტის ყველა პატიოსანმა ადამიანმა აიტაცა მისი ლოზუნგი: „დედამიწაზე სიცოცხლისათვის, დედამიწაზე სიცოცხლის სახელით, იბრძოლეთ, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ“.

ლ. ტუხაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარჯიში ძუძუთა ბავშვებისათვის

ბავშვი რომ ფიზიკურად სწორად აღიზარდოს, ამაზე მისი ჩვილობის ასაკიდან უნდა ვიზრუნოთ; გამოვიყენოთ ისეთი საშუალებები, როგორიც არის ფიზიკური ვარჯიში და მასაჟი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული მცდარი აზრი, თითქოს მასაჟი და ვარჯიში მიზანშეწონილი იყოს მხოლოდ იმ ბავშვებისათვის, რომელთაც რაქიტი ან ჰიპოტროფია აქვთ. რაქიტი გულისხმობს ორგანიზმში მინერალურ ნივთიერებათა ცვლის დარღვევას, ჰიპოტროფია კი კვების ქრონიკულ დარღვევას; როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ფიზიკური ვარჯიში და მასაჟი მკურნალობის საუკეთესო საშუალებად გვევლინება. ჯანმრთელ პაწიებისათვის კი როგორც ვარჯიშს, ასევე მასაჟს უდიდესი პროფილაქტიკური მნიშვნელობა ენიჭება.

ცნობილია, რომ ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარება დიდად არის დამოკიდებული საყრდენ-სამოძრაო აპარატიდან თავის ტვინის ქერქში წარგზავნილ იმპულსებზე, რაც კუნთების შეკუმშვისა და გაფართოების, (მოძრაობის) დროს ხდება.

ფიზიკური ვარჯიში და მასაჟი ხელს უწყობს კუნთოვანი აპარატისა და ნერვული სისტემის გავარჯიშებას, მისი ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესებას, კარგად მოქმედებს ჩვილი ბავშვის ნერვულ-კუნთოვან აპარატზე. შინაგან ორგანოებზე, დადებით გავლენას ახდენს ფსიქოემოციურ სფეროზე, — მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გუნება-განწყობის გაუმჯობესებას. ასე, მაგალითად: ჩვილები მედდების დანახვაზე, რომლებიც მათ ნემსებს უკეთებენ, ტირილს იწყებენ, ხოლო სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტებს, რომელთა მიერ სწორად ჩატარებული სამკურნალო პროცედურა მათ, კანონზომიერად, დიდ სიამოვნებას ჰგვრის, ღიმილით ეგებებიან.

ძუძუთა ბავშვები, რომელთაც სისტემატურად ავარჯიშებენ და მას-

აყს უკეთებენ, შედარებით ადრე იწყებენ დაჯდომასა და სიარულს.

გარდა დროულად დაჯდომისა და გავლისა ყურადღება ექცევა იმასაც, თუ რამდენად სწორად დადიან და ჯდებიან ისინი.

მაგალითად, ნიადაგ უნდა გვახსოვდეს, რომ არასწორი ჯდომა იწვევს ხერხემლისა და გულმკერდის დეფორმაციას, ხოლო არასწორი დგომა და სიარული ფეხების დაღრეცვას.

ძილის დროს ბავშვები ხშირად იღებენ ე. წ. „სპასტიკურ" პოზებს: ბავშვი ბარძაყებით მჭიდროდ ეხება მუცელს, ხოლო ნიკაპი მუხლებზე აქვს დაყრდნობილი. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ პოზაში ძილი მეტად მავნებელია.

სისტემატური ფიზიკური ვარჯიში და მასაჟი ბავშვის კუნთებს აქტიურებს და, საჭიროების შემთხვევაში მოდუნების უნარსაც ანიჭებს, პროფილაქტიკის თვალსაზრისით, სასურველია ბავშვები ხმელ (მაგარ) საწოლზე იწვნენ, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის არასწორ პოზაში დაძინებას.

სისტემატური ფიზიკური ვარჯიშის წყალობით ჩვილის ორგანიზმი შედარებით ადრე ყალიბდება, ასეთი ბავშვი გონებრივადაც დროულად ვითარდება.

მასაჟი ბავშვს შესაძლებელია დავუწყოთ 1,5-2 თვის ასაკიდან. სხვანაირად მასაჟს პასიურ ტანვარჯიშსაც უწოდებენ. მასაჟის დროს კანზე, კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილებზე, სისხლის ძარღვებზე, ლიმფურ სისტემაზე, კუნთებსა და ნერვულ სისტემაზე ვახდენთ მექანიკურ ზემოქმედებას, რაც ხელს უწყობს სასიცოცხლო პროცესების სრულყოფასა და ნივთიერებათა ცვლის გაძლიერებას. უფრო მოგვიანებით — 2-3 თვიდან, მასაჟს ფიზიკური ვარჯიშიც შეიძლება დაემატოს.

მასაჟი და ტანვარჯიში უნდა ტარდებოდეს ყოველდღიურად, ჭამამდე 40 წუთით ადრე ან 40 წუთის შემდეგ. ჰაერის ტემპერატურა უნდა იყოს 20-22 გრადუსი, ხანგრძლივობა — 10-15 წუთი.

ტანვარჯიში მასაჟის შემდეგ უნდა ჩატარდეს: ვარჯიშის დროს ყურადღება უნდა ექცეოდეს ბავშვის გუნება-განწყობილებას და სხვა.

უკანასკნელ წლებში ჩვილი ბავშვების სწორი ფიზიკური აღზრდის მიზნით ფართოდ დაინერგა ცურვა. უკვე დაგროვილია საკმაო გამოცდილება იმის შესახებ, რომ ბავშვები 1-2-3 თვის ასაკიდან უნდა ეჩვეოდნენ წყალში (აბაზანაში) მოძრაობას (პასიურ ცურვას), ხოლო 6 თვის ასაკში შესაძლებელია მათ აქტიური ცურვა და წყალში გაჩერებაც კი ასწავლონ. ჩვილ ბავშვებში ცურვის ჩვევის გამომუშავებას პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს, ასეთი ბავშვები კარგად კაჟდებიან.

უკვე დროა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მსხვილი პოლიკლინიკები უზრუნველყოფილი იქნენ საცურაო აუზებითა და შესაფერისი სამკურნალო-ფიზკულტურის კაბინეტებით. პოლიკლინიკებში სისტემატურად უნდა ეწყობოდეს სემინარები მედიცინის მუშაკებისა და მშობლებისათვის.

მიმდინარე წელი ბავშვის წელია. ჩვენი უდიდესი სურვილია რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში შეიქმნას ყველა პირობა ბავშვების მასიურად გაჯანმრთელებისათვის.

**რ. სვანიშვილი**



# ვერიდოთ კონსერვების შინ დამზადებას

არასდროს დაავიწყდება ბ. ლ-ს 1978 წლის 7 დეკემბერი: იგი და მისი ორი ვაჟიშვილი ინფექციურ საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მოიყვანეს. ექიმების დროული და ენერგიული ჩარევა, რომ არა, ვინ იცის რა შედეგი მოჰყვებოდა ყოველივეს.

1978 წ. 5 დეკემბერს ბ. ლ-ს და მის ორ ვაჟს მოხარშული დაკონსერვებული ნედლი სიმინდი უჭამიათ, რამაც ისინი მოწამლა. განვითარდა ბოტულიზმი.

გამოჯანმრთელების შემდეგ მთელმა ოჯახმა ფიცი დადო, კონსერვს შინ არასოდეს დავამზადებთო.

მრავალჯერ გააფრთხილეს, აუხსნეს, განუმარტეს, მაგრამ ბევრი მაინც მიირთმევს შინ დამზადებულ კონსერვებს, რასაც ხშირად მსგავსი შემთხვევები მოჰყვება ხოლმე.

ბოტულიზმი მეტად მძიმე ცბიერი დაავადებაა. მძიმეა, რადგან მისი ტოქსინი (შხამი) აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, რაც ზოგჯერ სიკვდილითაც მთავრდება. ცბიერია იმიტომ, რომ მოწამვლის დამახასიათებელი ნიშნები პირღებინება და კუჭის აშლა ამ დროს იშვიათია. ტემპერატურა ყოველთვის ნორმალურია, შხამი არ ცვლის საკვები პროდუქტის გემოს, ფერს და სუნს.

დაავადების გამომწვევი ჩხირი პირველად აღმოაჩინეს 1896 წელს შაშხნსერვებულ სოკოსა და ბოსტნეულში. დაღუპული ადამიანის ელენთასა და მსხვილ ნაწლავებში. ყველაზე ხშირად ბოტულიზმი ვითარდება დაკონსერვებულ სოკოსა და ბოსტნეულში.

ბოტულიზმის ჩხირი ძალზე გავრცელებულია, რითაც პროდუქტი იოლად ბინძურდება, მისი შხამი ყოველგვარ ბაქტერიულ ტოქსინზე და ქიმიურ შხამზე ძლიერია. ერთ გრამ ბოტულიზმის შხამს შეუძლია მილიონობით ადამიანი მოწამლოს. ეს შხამი პროდუქტში შეიძლება დიდხანს უცვლელად იყოს შენახული.

დაავადების ინკუბაციური პერიოდია — 2-საათიდან 10 დღემდე. უმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესად იგი 18-დან 24 საათში ვლინდება. (რაც უფრო დიდია მიღებული შხამის დოზა მით უფრო მოკლეა საინკუბაციო პერიოდი). ავადმყოფობა იწყება საერთო სისუსტით, თავის ტკივილით, თავბრუსხვევით, უძილობით; უმეტესად კუჭნაწლავის ტრაქტში არ იგრძნობა რაიმე მწვავე ანთებითი მოვლენები. შხამი მოქმედებს ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე: ვითარდება ქუთუთოების დაწევა, მხედველობის გაორება, ყლაპვის გაძნელება, პირის სიმშრალე... თუ ამასთან, სასუნთქი ცენტრის დამბლაც განვითარდა, შეიძლება ადამიანი დაიღუპოს.

დაავადების განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობით შხამი მიიღო ადამიანმა და რა სისწრაფით მიმდინარეობს სასუნთქი ცენტრის მოშლა. მსუბუქი ფორმის დროს ავადმყოფობა გრძელდება ცხრიდან, ზოგჯერ 30 დღემდე.

მკურნალობენ ბოტულიზმის საწინააღმდეგო შრატით, რაც დაავადების საწყის სტადიაში ძალზე საიმედო საშუალებაა.

ბოტულიზმით დაავადებულ ადამიანს, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ამოვურეცხოთ კუჭი, დავუნიშნოთ გამწმენდი საშუალებები, რითაც კუჭნაწლავი თავისუფლდება ბაქტერიებისაგან და შხამისაგან. მოწამლული სასწრაფოდ უნდა გადავიყვანოთ საავადმყოფოში.

როგორ ავიცდინოთ თავიდან ეს მძიმე დაავადება?

— უპირველეს ყოვლისა ზუსტად უნდა დავიცვათ სანიტარულ-ჰიგიენური წესები იმ პროდუქტების დამუშავების, შენახვის და ტრანსპორტირების დროს, რითაც ადამიანი იკვებება. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება შინ დაკონსერვებულ პროდუქტებს. აქვე აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში (ამ პერიოდში განსაკუთრებით გავრცელდა შინ კონსერვების დამზადება), ბოტულიზმი გახშირდა, დაავადება განსაკუთრებით ხშირდება ზამთარსა და გაზაფხულზე, როდესაც კონსერვებს მეტად მიირთმევენ.

და ბოლოს—კატეგორიული რჩევა დიასახლისებს. — შინ დამზადებული კონსერვი საშიშია, რადგანაც ოჯახში შეუძლებელია ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვა. კონსერვის სტერილიზაცია უნდა მოხდეს 120 გრადუსის ტემპერატურაზე, ეს კი ოჯახის პირობებში შეუძლებელია.

**გ. კოღუაშვილი,**

ქ. თბილისის სანეპიდსადგურის კვების ჰიგიენის განყოფილების გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

# გოგრაზე დამყნილი კიტრი

ცნობილია, რომ გოგრას ფესვთა სისტემა ძლიერი აქვს და მეტრზე მეტ სიღრმეზე ჩადის ნიადაგში. ამასთან გოგრა, თავისი მსხვილი და მაგარი ღეროთი და ფოთლებით მეტ გამძლეობას იჩენს ნიადაგის ტენიანობისა და ჰაერის ტემპერატურის მერყეობის მიმართ. სწორედ ეს ბიოლოგიური თვისება გამოვიყენეთ კიტრის მოსავლის გასადიდებლად. კიტრის გოგრაზე დამყნობის დროს, კიტრის ზრდა-განვითარება გოგრის ძლიერ ფესვთა სისტემის ხარჯზე უფრო გაძლიერებული კვების პირობებში ხდება, და მისთვის საშიში აღარ არის ნიადაგის ტენიანობისა და ჰაერის ტემპერატურის ხანმოკლე მერყეობა.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დემონსტრირებულია გოგრაზე გამყნობილი კიტრი. ასეთი კიტრის მოსავალი ჩვეულებრივთან შედარებით 60 პროცენტით იზრდება. ამასთან არ უარესდება გემო, ამიტომ ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ღია, ისე დახურულ გრუნტში.

კიტრი ითესება ყუთებში, ხოლო გოგრა ცალკე ქოთნებში. თესვის ვადები დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე საორიენტაციოდ მიღებულია, რომ კიტრი დაითესოს ღია გრუნტში გადარგვამდე 40 დღით ადრე, ხოლო გოგრა კიტრის დათესვიდან სამი-ოთხი დღის შემდეგ, რადგან იგი საძირედ ნამდვილი ფოთლის ფაზაში უნდა გამოვიყენოთ. დამყნობის წინ გოგრა მოირწყვება, მყნობელმა გოგრიანი ქოთანი წინ უნდა დაიდგას ისე, რომ პირველი ნამდვილი ფოთოლი მისგან მოპირდაპირე მხარეს იყოს. დეზინფექცირებული სამყნობი დანით მოიჭრება გოგრის ზრდის წერტილი, ანუ მეორე ნამდვილი ფოთოლი, რომელიც ამ დროისათვის მეტად პატარაა. ლებნის ფოთლების შუა ღეროს უკეთდება 1,5 სანტიმეტრი სიგრძის ჭრილი. ამის შემდეგ იჭრება კიტრის აღმონაცენი 2 სანტიმეტრის სიგრძის ღეროთი, რომელსაც ჩამოეცლება ეპიდერმისის თხელი ფენა (ზედაპირული კანი) 1,5 სანტიმეტრის სიგრძეზე ე. ი. იმავე სიგრძისა, რომელიც გოგრის ღეროზე გავაკეთეთ. ამნაირად, მომზადებულ კიტრის აღმონაცენს ჩავსვამთ გოგრის ჭრილში ისე, რომ კანგაცლილი ნაწილი მთლიანად დაიფაროს და მსუბუქად შევახვევთ რბილი რაფით. მყნობის დროს ჰაერის ტემპერატურა უნდა იყოს 23-27 გრადუსი, ხოლო ჰაერის ფარდობითი ტენიანობა — 100 პროცენტამდე. პირველ ხანებში ნამყენი მზის პირდაპირი სხივებისაგან დასაცავად უნდა დაიჩრდილოს. 6-8 დღის შემდაგ კიტრი დაიწყებს ზრდას, რომლის კვალობაზე შემოხვეულ რაფს ნელ-ნელა მოვუშვებთ, მაგრამ მთლიანად არ მოვხსნით. ამ პერიოდში ნამყენის შეგუება გარემო პირობებისადმი ფრთხილი განიავებით ხდება.

მყნობა შესაძლებელია ოთახის პირობებშიც, ოღონდ უნდა დავიცვათ მითითებული ტემპერატურა და ფარდობითი ტენიანობა, ამისათვის კი საჭიროა ჭურჭელი, საიდანაც წყალი ორთქლდება. ეს ჭურჭელი ნამყენის გვერდზე მოვათავსოთ. ნამყენი უნდა მოირწყას კვირაში ორჯერ ოთახის ტემპერატურის წყლით, ოღონდ წყალი მყნობის ადგილს არ უნდა მოხვდეს.

ღია გრუნტში გადარგვის შემდეგ გოგრის ღეროებს განაწყობენ ჩრდილოეთისაკენ, ხოლო კიტრის ნაზარდს სამხრეთისაკენ. გოგრის მაღალი და ფართო ფოთლები კიტრს დაიცავს გამჭოლი ქარისაგან, რაც დამღუპველად მოქმედებს კიტრზე. გრუნტში გადარგვისას მცენარეთა შორის მანძილი უნდა იყოს 70 სანტიმეტრი, ხოლო რიგებს შორის — 1,5 მეტრი. როცა გოგრის ძირითადი ყლორტები 1,5 მეტრი სიგრძისა გახდება, მიწაზე დაამაგრებთ და სველ მიწას დააყრით, რის შედეგადაც ყლორტები დაფესვიანდება და მცენარის გამოკვება გაძლიერდება. გოგრის ყლორტებზე ვტოვებთ მხოლოდ 1-2 ცალ ნასკვს, ნამხრევებს და სხვა დანარჩენ ნასკვებს კი ვაცლით, ამით კიტრის ღეროების ზრდა არ იზღუდება. გოგრის ყლორტების წვეროებს ვამოკლებთ, ისე, რომ ნაყოფამდე 3-4 ფოთოლი დარჩეს. გამოკვება წარმოებს როგორც ფესვქვეშ, ისე ფესვგარეშე. ამისათვის გოგრას ძირში ვუყრით ერთ ვედრო გადამწვარ ნაკელს, 0,5 კილოგრამამდე ნაცარსა და 50 გრამ სუპერფოსფატის ნარევს, ხოლო ფესვგარეშე გამოკვებისას შევასხურებთ შარდოვანას. (10 ლიტრ წყალში გაიხსნება 10 გრამი შარდოვანა ან 10 ლიტრ წყალში გაიხსნება 30 გრამი ამონიუმის სულფატი). კარგ შედეგს იძლევა 15 გრამი კალიუმისა და სუპერფოსფატის ხსნარი. ხსნარი უნდა შევასხუროთ დილის ან საღამოს საათებში.

ამ გზით ძლიერდება კიტრის გამძლეობა გარემო პირობებისადმი, მცირდება მისი დაავადების შესაძლებლობა და 60 პროცენტით იზრდება მოსავლიანობა.

აგრონომი

**ივანე ჯანიკაშვილი**





# ზოგი რამ ყვავილების შესახებ

ყვავილს ყველგან და ყოველთვის თავისი ესთეტიკური და სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. მაგალითად, საზეიმო და სამგლოვიარო რიტუალი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, ამიტომაც, ჩვეულებრივი ქალაქური პანაშვიდები არ შეიძლება ჰგავდეს საზეიმო თავშეყრის, საიუბილეო რიტუალს. ამით ხაზი მინდა გავუსვა ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებულ ამ ორ რიტუალს, პანაშვიდებისათვის დამდენიმე ყვავილია საჭირო. მეორე შემთხვევისათვის კი ყვავილების სიუხვე ჯობია.

ტერიტორიის გაფორმების დროს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ერთი და მთავარი: სიჭრელე, ფერადოვნება მხიარულობას უნდა მივანიშნებდეს, ხოლო ერთი ტონი, ერთი ფერი კი დახვეწილ, მკაცრ სიტუაციებს.

თაიგულის შეკვრისას ფერების შერჩევა მთავარ როლს ასრულებს.

ფერები იყოფა თბილ და ცივ ფერებად. ცივ ფერს ეკუთვნის ლურჯი, ცისფერი, ლილისფერი. თბილ ფერს — წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი. თეთრი, შავი, ნაცრისფერი ნეიტრალური ფერებია.

თაიგულის კომპოზიციის და „არანჟიროვკის“ შექმნისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვარდისფერი უხდება თეთრსა და ცისფერს; ხანდახან ყვითელსაც. წითელი ფერი (სიყვარულის სიმბოლო) ლამაზად მოსჩანს თეთრთან და ყვითელთან. ლურჯი ფერის შეხამება სხვა ფერებთან კი კარგ გემოვნებას მოითხოვს.

ძველ საბერძნეთში გოგონებს სპეციალურად ასწავლიდნენ გვირგვინებისა და თაიგულების შეკვრას. საყოველთაოდ არის ცნობილი თაიგულისა და გვირგვინის ოსტატი, ტურფა გლიცერა.

მე-16 საუკუნეში თაიგული მოდაში შემოდის ინგლისში; აქ თეატრის მოყვარულები თაიგულს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მისი ფერადოვნებისა და სილამაზის მიხედვით, ისინი მსახიობისადმი თავის გრძნობებსა და პატივისცემას გამოხატავდნენ: თეთრი ვარდების თაიგულს აჩუქებდნენ ახალგაზრდა მსახიობებს, სადებიუტო გამოსვლისას. წითელი და თეთრი ვარდების თაიგულს კი — ვინც სცენას ტოვებდა.

ქორწინების ტრადიციული თაიგული უნდა იყოს თეთრი ფერისა,— სიმბოლო წმინდა, მტკიცე ქორწინებისა და ნამდვილი სიყვარულისა.

იაპონიაში ქალიშვილი გათხოვებამდე სპეციალურ კურსებზე თაიგულის შეკვრას სწავლობს. ამას იაპონიაში „იკებანას“ უწოდებენ. იაპონელის ბინის შესასვლელში ლარნაკში მუდამ აწყვია რამდენიმე ყვავილი მწვანე ტოტით. ყველაზე დიდი ყვავილი ნიშნავს ქმარს, საშუალო ცოლს, უფრო მცირენი კი ოჯახის სხვა წევრებს. ამიტომ სტუმარი ჯერ ყვავილების თაიგულს ესალმება — შემდეგ კი მასპინძელს. სხვადასხვა ოთახში მიღებულია სხვადასხვანაირი ფერისა და სახეობის ყვავილი, რაც მათ ყოფასთან სიმბოლურად არის დაკავშირებული.

ახლა ჩვენთან ფეხი მოიკიდა ევროპიდან შემოსულმა საზეიმო მხატვრულმა კომპოზიციებმა და იაპონურმა იკებანამ, რომლებიც ბინის ინტერიერს ერწყმის და ქმნის საზეიმო განწყობას.









გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს:

ვიღებთ დაბალ ბრტყელძირიან სპეციალურ ლარნაკს, მასში ვათავსებთ ტყვიის ძირზე დამაგრებულ ნემსებს, (იხ. სურათი № 1), რომლებშიც ვამაგრებთ ყვავილს და მწვანე ტოტებს. (იხ. სურათი 2).

ერთი „არანჟიროვკა“ ინგლისური სტილისა (იხ. სურათი 3).

მინდა გაჩვენოთ იაპონური და თბილისური „იკებანა“. (იხ. სურათი 4,5), აი თუნდაც გამხმარი გირჩებისა, ტოტებისა და ფოთლებისაგან შემდგარი ექსპოზიცია, (იხ. სურათი 6). როგორც ხედავთ იგი მშვენივრად გამოიყურება (იხ. სურათი 7).

სადღესასწაულო ექსპოზიცია — ნატურმორტი (იხ. სურათი 8). სადღესასწაულო მაგიდის გაშლას ყოველთვის ვიწყებთ საზეიმო ფერებში შერჩეული ყვავილების კომპოზიციით, რომელიც მაგიდის შუა გულში თავსდება ან თითოეულ თეფშთან პატარა ყვავილს ვდებთ (იხ. სურათი 9).

მხატვარი დეკორატორი
**თინათინ ხარაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მოდების სახლი 50 წლისაა

საბჭოთა კოსტუმის შექმნასა და განვითარებას მეტად რთული და საინტერესო ისტორია აქვს. იგი დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველსავე წლებში იშვა; იმ დროს, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას უნდა დაეძლია სამოქალაქო ომი, ინტერვენცია, ომით მოშლილი მეურნეობა, შიმშილი და პირველი საჭიროების საგნების მწვავე ნაკლებობა, ვის ეცალა ჩაცმა-დახურვისათვის. და მიუხედავად ამისა, მაინც იქმნებოდა ტანსაცმლის ახალი ფორმები, რომლებიც ძალიან ზუსტად ასახავდა იმდროინდელი საზოგადოების სოციალურ ურთიერთობას, ეკონომიკას, იდეოლოგიასა და ესთეტიკურ იდეალს.

ახალი საზოგადოების მშენებლები უარყოფდნენ დამხობილ კაპიტალისტურ სამყაროში გავრცელებული ტანსაცმლის სტილსა და, საერთოდ, მოდას. როგორც ბურჟუაზიულ გადმონაშთსა და რეაქციულ მოვლენას. „მოდურ ტანსაცმელში“ გულისხმობენ რევოლუციამდელ ტანსაცმელს, რომელსაც საბჭოთა ხალხის ყოფისათვის შეუფერებლად მიიჩნევდნენ, ეს იყო თავისებური პროტესტი, დიდი სურვილი ყველაფერი ძველის უარყოფისა. აღარ ატარებდნენ მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს, ხელჩანთებს, შლიაპებს, ხელთათმანებს, ღია ფერის ქსოვილებს, შარფებს, ჰალსტუხებს, სამკაულებს. ტანსაცმლის მორთვა-მოკაზმვა მაქმანითა და სხვა დეკორატიული საშუალებით დაუშვებელი იყო. გავრცელდა ქალისა და მამაკაცის ტყავისა და მაუდის ქურთუკები, ბლუზები, ზოლიანი მაისურები, ფაფახები, დაბალქუსლიანი, სპორტული ტიპის თხელლანჩიანი ფეხსაცმელები, „ტაპოჩკები“, წითელი თავსაფრები, უკიდურესად უბრალო და მოკრძალებული ფორმის ქვედა ბოლოები და კაბები, რომლებიც ხშირად ფარდებისა და სუფრებისაგან იკერებოდა.

ასე გაჩნდა პრინციპულად ახალი სტილისა და ფორმის ტანსაცმელი, რომლის დამახასიათებელი ნიშნები იყო — სისადავე, ეკონომიურობა, ფუნქციონალურობა და ის ელემენტები, რომლებიც ხალხის რევოლუციურ განწყობილებასა და შემართებას უპასუხებდა.

რევოლუციის შემდეგ, როგორც კი ქვეყანამ სახალხო მეურნეობის გარდაქმნისა და განვითარების ფართო პროგრამა დასახა, სამკერვალო დარგმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა — გადაწყდა მრეწველობის სოციალისტური ინდუსტრიის გზაზე დაყენება. უმოკლეს დროში თითქმის ყველა წვრილი საწარმო გადაეცა სახელმწიფოს, მაგრამ მარტო საორგანიზაციო ღონისძიებებით არ შეიძლებოდა სამკერვალო მრეწველობის ხასიათისა და დონის შეცვლა. მისი გარდატეხისა და გარდაქმნის პროცესი გარკვეულ დროს მოითხოვდა — რევოლუციამდელ რუსეთში ხომ მექანიზირებული სამკერვალო მრეწველობა არ არსებობდა. სამკერვალო მრეწველობის მექანიზაციის ერთად-ერთი სახე იყო უცხოური ფირმის საკერავი მანქანა „ზინგერი“.

ტანსაცმელი ძირითადად დაბალი ტექნოლოგიური დონის შინამრეწველურ სახელოსნოებში იკერებოდა, რომლებიც თავისი შრომის ხასიათით ფეოდალურ მანუფაქტურებს წააგავდა. მათი მფლობელები იყვნენ რუსი და უცხოელი სავაჭრო ფირმები „მანდელი“, „ძმები პოსტუხოვები“, „როზენცვეიგი“ და სხვები. საქართველოში კი, კერძოდ თბილისში, ველიამინოვის ქუჩაზე თავისი სახელოსნოები ჰქონდათ მადამ სევალს, ლორენცს, ცოლ-ქმარ ივანოვებს და სხვებს.

მხოლოდ 30-იანი წლებისათვის მოხერხდა ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე სამკერვალო ინდუსტრიის შექმნა, შეიცვალა შეხედულება და დამოკიდებულება მოდის მიმართაც, დრომ მასაც წაუყენა თავისი მოთხოვნები. მოდასთან დაკავშირებით ბევრი გაუგებრობა გაფანტა განათლების სახალხო კომისრის ა. ვ. ლუნაჩარსკის სტატიამ „დროა თუ არა მოდამ ჩაცმის ხელოვნებაზე იფიქროს“, რომელიც „წითელ პანორამაში“ დაიბეჭდა. მალე მისივე უშუალო მხარდაჭერით გაიხსნა პირველი შემოქმედებითი სამკერვალო ლაბორატორიები ე. წ. „თანამედროვე კოსტიუმის სახელოსნოები“, რომლებსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი მხატვარ-მოდელიორი ნადეჟდა პეტრეს ასული ლამანოვა. მან შემოიკრიბა ერთმანეთისაგან განსხვავებული ხელწერის, მაგრამ ერთი მისწრაფების მხატვრები, რომელთა მიზანი იყო შეექმნათ ლამაზი და მოხერხებული ტანსაცმელი, აემაღლებინათ მშრომელი მასების გემოვნება. ესენი იყვნენ ვერა მუხინა, ალექსანდრა ექსტერი, ლიუბოვ პოპოვა, ვარვარა სტეპანოვა, ნადეჟდა მაკაროვა და ევგენია პრიბელსკაია. მათ შემოქმედებით დისკუსიებში და პირველ საბჭოთა მოდების ჟურნალ „ატელიეს“ სარედაქციო კოლეგიაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი ადამიანები — მხატვრები კუსტოდიევი და გრაბარი მწერლები ანა ახ-

ბარეკანის პირველ გვერდზე — ნორჩი მევიოლინე მაიკო შამუგია; მეოთხეზე — სტიუარდესა თამარ ცერცვაძე. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები.


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: გ. განძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ულენტი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ლ. შეწირული, თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4/VII-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VIII-79 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 126.000. შეკვ. 1903. უე 00785. ფასი 30 კაპ.

მატოვა, კონსტანტინე ფედინი, ოლღა ფორშე, მარიეტა შაგინიანი და სხვები.

ამ შემოქმედებითი ლაბორატორიების ბაზაზე 1934 წელს დაარსდა კოსტიუმის პირველი შემოქმედებითი ცენტრი—მოსკოვის მოდელების სახლი, ხოლო 1936 წელს მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში გაიხსნა ტანსაცმლის მხატვრული მოდელირების ფაკულტეტი, რომლის პირველმა კურსდამთავრებულებმა მხატვარ-მოდელიორის სპეციალობა ომის წინ 1941 წელს მიიღეს. ამით საბჭოთა მოდელიორების სკოლას — მის თეორიასა და პრაქტიკას მტკიცე საძირკველი ჩაეყარა.

მაგრამ დაიწყო დიდი სამამულო ომი და ჩაცმის საკითხი კვლავ მეორეხარისხოვან საქმედ იქცა, ისევ გაჩნდა სადა, საქმიანი ხასიათის კაბები, რომელიც თავისი ნეიტრალური ფორმის გამო დიდხანს არ გამოსულა მოდიდან. ომმა დიდი ზარალი მიაყენა სამკერვალო მრეწველობასაც, რომლის აღდგენასა და განვითარებას, როგორც სახალხო მეურნეობის ერთერთ მნიშვნელოვან დარგს ქვეყანა ომის დამთავრებისთანავე შეუდგა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ტანსაცმლის მხატვრული მოდელირების საკითხს. 1949 წელს მოსკოვის მოდელების სახლი გადაკეთდა საკავშირო მოდელების სახლად. იმავე წელს გაიხსნა მოდელების სახლები ლენინგრადში, გორკში, ნოვოსიბირსკში, როსტოვ-დონში, ბაქოსა და თბილისში.

ამჟამად კავშირში 37 მოდელების სახლია. საქართველოს მოდელების სახლი ერთ-ერთი უძველესი და მოწინავეა მათ შორის, იგი ემსახურება რესპუბლიკის სამკერვალო მრეწველობის — 12 ფაბრიკას, ეწევა მოდების პროპაგანდას მოსახლეობაში და დიდი წვლილი შეაქვს ჩაცმის კულტურის განვითარების საქმეში. მოდელების სახლის დაარსების პირველსავე წლებში სამკერვალო ფაბრიკების ლაბორატორიებიდან დიდმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ და საქმის სიყვარულმა აქ მოიყვანა მოდელიორები: ა. რუხაძე, ე. ჯავაშვილი ა. და თ. კალანდაძეები, უფრო მოგვიანებით მოსკოვიდან მოიწვიეს სპეციალისტები ე. ატაპინა, ზ. კარასიოვა, ნ. ტოლსტუხინა და ლ. ავალიანი, რომელთა ნაყოფიერმა შრომამ იმ წლებში დიდი როლი შეასრულა რესპუბლიკის სამკერვალო მრეწველობის განვითარების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევგენია ჯავაშვილის მოღვაწეობა, რომელიც გამოირჩეოდა საქმის ღრმა ცოდნით და დიდი პედაგოგიური ნიჭით. იგი ჯერ კიდევ სახელოვან მწერალ ქალს ეკატერინე გაბაშვილს მოუწვევია 1915 წელს ჭრა-კერვის სახელოსნოში (ახლანდელი გაბაშვილის ქუჩაზე), სადაც 80 ყმაწვილი ქალი სწავლობდა ხელსაქმეს. დღესაც სიამაყით იხსენებს ქ-ნი ევგენია მწერალი ქალის სიტყვებს — „შენ კარგ გემოვნებასთან და ცოდნასთან ერთად. კარგი პედაგოგიური მიდგომაც გაქვს. გახსოვდეს რომ ამ ხელობას ღარიბი ხალხი ეტანება და თუ შენი ხალხი გიყვარს, ეგ შენი ცოდნა მას უნდა გადასცეო". და მართლაც, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განათლების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. მარიამ ორახელაშვილის მიწვევით იგი სათავეში ჩაუდგა პირველ პროფესიონალურ-ტექნიკურ სასწავლ ელს და ამ სფეროში მთელი 25 წელი იშრომა.



მოდელიორები ნ. ბაქრაძე, ლ. თვაური, გ. ნანუკაშვილი, ნ. კობალაძე.



მოდელიორი ე. ჯავაშვილი

ამჟამად რესპუბლიკური მოდელების სახლი „მეორე ახალგაზრდობას" განიცდის. სრულიად გადახალისდა მისი შემოქმედებითი კოლექტივი. აქ მუშაობს 20-მდე მხატვარ-მოდელიორი სპეციალური უმაღლესი სამხატვრო განათლებით. რომელთა ნახელავს არაერთხელ უსახელებია რესპუბლიკა და საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა მოდის პრესტიჟი დაუცავს. მათ შემოქმედებით ბიოგრაფიაშია თეირანის, პლოვდივის, იზმირის, ზაგრების, ბუქარესტის, დასავლეთ ბერლინისა და პარიზის საერთაშორისო ბაზრობები და გამოფენები. წინ შემოქმედებითი ძიებით სავსე მომავალია.

ლ. ხვედელიძე



ИНДЕКС 76178